

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №14
2014 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

1. (ძალადაკარგულია).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №20 - ვებგვერდი, 22.08.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

2. (ძალადაკარგულია).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №20 - ვებგვერდი, 22.08.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

2¹. დამტკიცდეს „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №3).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №20 - ვებგვერდი, 22.08.2017 წ.

2². დამტკიცდეს „ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი“ (დანართი №3¹).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

3. (ძალადაკარგულია).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №20 - ვებგვერდი, 22.08.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 8 ივნისის №8 დადგენილება.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

ირინა მილორავა

მაია ნადირაძე
გოჩა შონია
სერგო მესხი



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №20 - ვებგვერდი, 22.08.2017 წ.

გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

1. გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის (შემდგომში – მეთოდოლოგია) მიზანია გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების წესისა და პრინციპების განსაზღვრა.

2. ამ მეთოდოლოგიით ტარიფების გაანგარიშება ხდება „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურ ფუნქციონირებას, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებას და სამართლიანი მოგების მიღებას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 იანვარის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 30.01.2020 წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. მეთოდოლოგიაში სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **არამატერიალური აქტივი** – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი;

ა¹) **არარეგულირებადი აქტივი** – აქტივი რომელიც არ გამოიყენება რეგულირებად საქმიანობაში;

ბ) **აქტივი** – მატერიალური და არამატერიალური აქტივი;

გ) **აქტივის აღდგენითი ღირებულება** – დანახარჯების ჯამური თანხა, რომელიც საჭირო იქნება შესაფასებელი აქტივის ანალოგიური აქტივის შესაქმნელად;

დ) **აქტივის თვითღირებულება** – აქტივის შექმნის ან საწყისი შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა კომპენსაციის რეალური ღირებულების თანხა;

ე) აქტივის ისტორიული ღირებულებით შეფასების მეთოდი – აქტივის ღირებულების შეფასება მისი შექმნის ან საწყისი შეძენის ფასით;

ვ) აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება – აქტივის თვითღირებულებას (ამ აქტივზე განხორციელებული ინვესტიციის გათვალისწინებით) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია;

ზ) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ფასი, რომელშიც აისახება უშუალოდ ელექტროენერჯის წარმოებასთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები და, აგრეთვე, 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურის შემთხვევაში, მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების ნაწილი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული წილის შესაბამისად;

თ) გარანტირებული სიმძლავრის საფასური – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფისათვის დადგენილი საფასური, რომელიც უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს კაპიტალური დანახარჯებისა და ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების ანაზღაურებას, 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურის შემთხვევაში კი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული წილის შესაბამისად;

ი) (ამოღებულია - 22.10.19, №23).

კ) (ამოღებულია - 22.10.19, №23).

ლ) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფი – ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ კვალიფიციური საწარმოებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაწეული მომსახურების ფასი;

მ) ინვესტიცია – აქტივის შექმნის, შეძენის ან/და რეაბილიტაციისათვის განხორციელებული კაპიტალური დაბანდებები;

ნ) კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა, რომელიც იანგარიშება გადასახადებამდე, კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალის (საკუთარი და მოზიდული) სტრუქტურის მიხედვით;

ო) კაპიტალური დანახარჯები (CAPEX) – ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის ამონაგები რეგულირებადი აქტივების ბაზაზე და ცვეთა/ამორტიზაცია;

პ) მატერიალური აქტივი – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალებები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადაც აღემატება ერთ წელს;

ჟ) მესამე მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (მათ შორის: სახელმწიფო, მომხმარებელი და სხვა), გარდა საწარმოს წილის მფლობელისა, რომელიც საწარმოზე გასცემს სუბსიდიას, გრანტს ან/და საწარმოს უსასყიდლოდ გადასცემს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივს;

რ) რეგულირებადი საქმიანობა – ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფა და ელექტროენერჯის წარმოება, ასევე, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურება, რომელიც რეგულირდება კომისიის მიერ “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად;

ს) რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (RCB) – კომისიის მიერ სატარიფო წლისთვის საწარმოსთვის ნებადართული შემოსავალი, რომელიც საჭიროა საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და მოიცავს გონივრულ ხარჯებს და მიზანშეწონილ მოგებას;

ტ) რეგულირებადი აქტივების ბაზა (RAB) – საწარმოს რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული მატერიალური და არამატერიალური აქტივები, რომლებიც უშუალო კავშირშია შესაბამის რეგულირებად საქმიანობასთან;

ტ¹) რეგულირებადი აქტივი – აქტივი რომელიც გამოიყენება რეგულირებად საქმიანობაში;

უ) საბრუნავი კაპიტალი – საწარმოს საოპერაციო დანახარჯების დაფინანსებისათვის კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობა;

ფ) „სამშენებლო ბლოკების“ მეთოდი – რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრა მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით;

ქ) სატარიფო წელი (t+1) – კალენდარული წელი, რომლისთვისაც კომისია ადგენს ტარიფს ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ღ) საოპერაციო დანახარჯები (OPEX) – ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატის და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული საექსპლუატაციო დანახარჯები, ასევე ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის, რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე დანახარჯები;

ყ) სატესტო წელი (t-1) – კომისიის მიერ ტარიფის გაანგარიშების წლის წინა კალენდარული წელი;

შ) სატარიფო განაცხადი – კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმები და მასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, რომლებშიც ასახულია საწარმოს სატესტო წლის ფინანსური და ტექნიკური მონაცემები, აგრეთვე ტარიფის გაანგარიშების წელს განხორციელებული ინვესტიციები;

ჩ) საწარმო – ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატი, ასევე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობისა და ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე უდგინდება ტარიფი შესაბამისი რეგულირებადი საქმიანობისათვის;

ც) ტარიფის გაანგარიშების წელი (t) – სატარიფო წლის წინა კალენდარული წელი;

ძ) ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც არ არის დამოკიდებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ელექტროენერჯის გამომუშავებაზე;

წ) ცვეთა/ამორტიზაცია – მატერიალური/არამატერიალური აქტივების ცვეთადი ღირებულების გადანაწილება მისი სასარგებლო მომსახურების ვადაზე;

ჭ) ცვლადი საოპერაციო დანახარჯები – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დამოკიდებულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ელექტროენერჯის გამომუშავებაზე ან გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დადგენილი ტარიფები:

ა) იცავს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან;

ბ) ხელს უწყობს საწარმოს სტაბილურ და საიმედო ფუნქციონირებას;

გ) უზრუნველყოფს საწარმოსათვის გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესებას;

2. საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრისას გამოიყენება „სამშენებლო ბლოკების“ მიდგომის მეთოდი. ამ მეთოდით განსაზღვრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) კაპიტალური დანახარჯები;

ბ) საოპერაციო დანახარჯები;

გ) კორექტირების კომპონენტი.

3. კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება ხორციელდება „დანახარჯები პლუს“ მეთოდით, აღნიშნული დანახარჯების ყოველწლიური აუდიტით.

4. იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად გამოვლინდა ამ დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პერიოდის ინფორმაცია, რომლის იდენტიფიცირებაც არ მოხდა წინა სატარიფო წლის (წლების) ტარიფების გაანგარიშებისას, კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენოს სატესტო წლის აუდიტის შედეგების კორექტირებისთვის. კორექტირება განხორციელდება ამ მეთოდოლოგიის IV თავში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.

5. კომისიის მიერ დადგენილი საფასური და ყველა ტარიფი გაიანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 4. ტარიფების დადგენის პერიოდი

1. კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად, კონკრეტული საწარმოსათვის ინდივიდუალურად და მოქმედებს ერთი წლის ვადით, გარდა ამ მეთოდოლოგიის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია უფლებამოსილია, შესაბამისი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს ტარიფის გაანგარიშების წლის მომდევნო კალენდარული წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

თავი II. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა

მუხლი 5. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის

რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB_{(t+1)} = CAPEX_{(t+1)} + OPEX_{(t+1)} + CORR_{(t+1)} \quad (1),$$

სადაც:

$RCB_{(t+1)}$ – საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (ლარი);

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

OPEX_(t+1) – საწარმოს საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);
CORR_(t+1) – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება მე-16 მუხლის შესაბამისად (ლარი).

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 6. კაპიტალური დანახარჯები

სატარიფო წლისთვის კაპიტალური დანახარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CAPEX_{(t+1)} = RAB_{start(t+1)} \times WACC + D_{(t+1)} \quad (2),$$

სადაც:

CAPEX_(t+1) – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

RAB_{start(t+1)} – რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის დასაწყისისთვის (ლარი);

WACC – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა სატარიფო წლისთვის (%);

D_(t+1) – სატარიფო წლის ცვეთა (ლარი).

მუხლი 7. რეგულირებადი აქტივების ბაზა

1. აქტივის ღირებულება განისაზღვრება ისტორიული ღირებულების შეფასების მეთოდით.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ღირებულება არ დგინდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მეთოდით, კომისია იყენებს აქტივის აღდგენითი ღირებულებით შეფასების მეთოდს.
2¹. სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ქონების (აქტივების) პრივატიზების შემთხვევაში რეგულირებადი აქტივების ბაზის საწყის ისტორიულ ღირებულებად მიიჩნევა ქონების საპრივატიზაციო ღირებულება, შესაბამისი საპრივატიზაციო პირობების გათვალისწინებით.
2². სახელმწიფო/მუნიციპალურ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების შემთხვევაში აქტივების ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს საწარმოს კაპიტალში შეტანილი ან/და საწარმოთა შერწყმის (გაერთიანება, მიერთება) შედეგად მიღებული რეგულირებადი აქტივების საბალანსო ღირებულება, თუ აღნიშნული აქტივების ისტორიული ღირებულების დადგენა შეუძლებელია.
3. საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების სხვა საწარმოზე გაყიდვის შემთხვევაში, კომისია შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინებს აქტივის ხელმეორედ გაყიდვის ღირებულებას და იხელმძღვანელებს აქტივის ისტორიული ღირებულებით.
4. რეგულირებადი აქტივების ბაზაში მონაწილეობს არსებული (მოქმედი) რეგულირებადი აქტივები, მათ შორის ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციები.
5. რეგულირებადი აქტივების ბაზაში არ მონაწილეობს:
ა) ინვესტიციის ის ნაწილი, რომელიც დაფინანსებულია მესამე მხარის მიერ. ასეთი აქტივები საწარმოს მიერ უნდა აღირიცხოს განცალკევებულად;

- ბ) ინვესტიცია, რომელსაც კომისია არ მიიჩნევს დასაბუთებულად და გონივრულად;
- გ) ინვესტიციის ის ნაწილი, რომელიც აღემატება გონივრული დანახარჯის ოდენობას და საწარმოს მიერ არ იქნა გაწეული მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად;
- დ) რეგულირებად საქმიანობაში გამოუყენებელი აქტივები;
- ე) დაუმთავრებელი მშენებლობა.

6. კომისია უფლებამოსილია რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულებაში არ გაითვალისწინოს საწარმოს წილის მფლობელის მიერ კაპიტალში შეტანილი მესამე მხარისაგან გადაცემული აქტივის ღირებულება, თუ საწარმოს წილის მფლობელს ან მესამე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ან საწარმო, რომლის წილის არანაკლებ 50%-ს ფლობს სახელმწიფო.

7. კომისია ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აქტივის თვითღირებულებაში გაითვალისწინებს მშენებლობის პროცესში საწარმოს მიერ მშენებლობის დაფინანსებისათვის აღებული გრძელვადიანი სესხის ფაქტობრივი წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით გადახდილი სესხის პროცენტის კაპიტალიზირებულ ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული სესხის ღირებულების (I_d) განაკვეთისა.

8. საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება განისაზღვრება ამ ბაზაში ჩართული აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებით.

9. სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის საკანონმდებლო აქტების და კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტების მოთხოვნის შემთხვევაში კომისია ვალდებულია, ხოლო სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ტარიფში ასახოს ზემოაღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე საწარმოს მიერ ექსპლუატაციიდან გაყვანილი რეგულირებადი აქტივების შესაბამისი კაპიტალური დანახარჯები. ამასთან, კომისია უფლებამოსილია ზემოაღნიშნული აქტივები განიხილოს რეგულირებად აქტივებად მათი სასიცოცხლო ვადის ამოწურვამდე, ან შესაბამისი სატარიფო წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში ერთჯერადად ასახოს აღნიშნული აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება.

10. (ამოღებულია - 22.10.19, №23).

11. რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის დასაწყისისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RAB_{start(t+1)} = RAB_{end(t-1)} + INV_t - D_t \quad (3),$$

სადაც:

$RAB_{start(t+1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის ($t+1$) დასაწყისში (ლარი);

$RAB_{end(t-1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატესტო წლის ($t-1$) ბოლოს (ლარი);

INV_t – ტარიფის გაანგარიშების წელს (t) ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიცია, რომელსაც კომისია მიიჩნევს დასაბუთებულად და გონივრულად (ლარი);

D_t – სატესტო წლის ბოლოს არსებული რეგულირებადი აქტივების ბაზის ტარიფის გაანგარიშების წლის (t) ცვეთა/ამორტიზაცია (ლარი).

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 8. ცვეთა/ამორტიზაცია

1. 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ ექსპლუატაციაში შესულ აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდით განსაზღვრული, აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის წლისთვის მოქმედი კომისიის მიერ დამტკიცებული „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“.
2. 2014 წლის 1 იანვრამდე ექსპლუატაციაში შესულ აქტივებთან დაკავშირებით კომისია ითვალისწინებს საწარმოს მიერ გამოყენებულ ცვეთა/ამორტიზაციის ნორმებს, ხოლო ამ ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშების წესი ან კომისიის მიერ დამტკიცებული „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“.

მუხლი 9. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება

1. რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა განისაზღვრება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) მეთოდით.
2. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) გადასახადებამდე, სატარიფო წლისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WACC_{\text{გადასახადებამდე}} = g \times r_d + \frac{(1 - g) \times r_e}{(1 - T)} \quad (4),$$

სადაც:

$WACC_{\text{გადასახადებამდე}}$ – კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გადასახადებამდე (%);

g – სესხის წილი (%);

r_d – სესხის ღირებულება (%);

r_e – საკუთარი კაპიტალის ღირებულება (%);

T – მოგების გადასახადი (%).

3. საკუთარი კაპიტალის ღირებულება იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$r_e = (r_{rf} - ds) + cr + \beta \times mp \quad (5),$$

სადაც:

r_{rf} – ურისკო საპროცენტო განაკვეთი (%);

ds – ქვეყნის დეფოლტ რისკი (%);

cr – ქვეყნის რისკი (%);

mp – ბაზრის რისკის პრემია (%);

β – სექტორული რისკის კოეფიციენტი.

4. კომისიის მიერ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) განსაზღვრისათვის სესხის წილი (g) მთლიან კაპიტალში გაითვალისწინება 60%-ის ოდენობით.

მუხლი 10. საოპერაციო დანახარჯები

1. სატარიფო წლისთვის საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება სატესტო წლის მონაცემები. 14¹ მუხლის მე-6 პუნქტის მიზნებისთვის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დანახარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება ტარიფის გაანგარიშების წლის მონაცემები.
2. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინება ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.
3. კომისია უფლებამოსილია ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს საწარმოს სატარიფო წლის საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.
4. საოპერაციო დანახარჯებმა უნდა უზრუნველყოს საწარმოსათვის შესაბამის რეგულირებად საქმიანობაზე გასაწევი დანახარჯების ანაზღაურება, მათ შორის:
 - ა) ექსპლუატაციისა და მომსახურების დანახარჯები;
 - ბ) ადმინისტრაციული და საერთო დანახარჯები.
5. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯების (მათ შორის: მიმდინარე რემონტის, შენახვა-ექსპლუატაციისა და სხვა დანახარჯების) ანაზღაურებას.
6. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისათვის საჭირო დანახარჯის ანაზღაურებას ამ მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის შესაბამისად.
7. საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირი მიერ დამოწმებული ფაქტობრივი ფინანსური მონაცემები და ტექნიკური სახის ინფორმაცია, წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით.
8. კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონაცემების სისწორე და შეაფასოს წარმოდგენილი დანახარჯების გონივრულობა და შესაბამისობა ამ დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ შესაბამისად.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 11. საბრუნავი კაპიტალი

1. კომისია შესაბამისი სატარიფო წლისთვის განსაზღვრავს საწარმოს საბრუნავი კაპიტალის ოდენობას, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WC_{(t+1)} = (ARD - APD_{opex}) / 365 \times OPEX_{(t+1)} \quad (6),$$

სადაც:

$WC_{(t+1)}$ – საბრუნავი კაპიტალის ოდენობა სატარიფო წლისთვის (ლარი);

ARD – დებიტორული დავალიანების დაფარვის დღე, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა (დღე);

APD_{opex} – კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღე საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებაში, მაგრამ არაუადრეს საანგარიშო თვის 10 რიცხვისა (დღე);

OPEX_(t+1) – საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი).

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გაანგარიშებული საბრუნავი კაპიტალის (WC) რომელიმე კომპონენტი (შესაკრები) უარყოფითი რიცხვია, მაშინ საბრუნავი კაპიტალის გაანგარიშებაში აღნიშნული შესაკრები გაუტოლდება ნულს.

3. კომისია შესაბამისი (t+1) სატარიფო წლის საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში ასახავს საბრუნავი კაპიტალის საპროცენტო ხარჯს შემდეგი ფორმულით:

$$WCC_{t+1} = WC_{t+1} * r_{sd(t+1)} (7),$$

სადაც:

WCC_{t+1}	საბრუნავი კაპიტალის საპროცენტო ხარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
WC_{t+1}	საბრუნავი კაპიტალის ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$r_{sd(t+1)}$	კომისიის მიერ დადგენილი მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისი სატარიფო წლისთვის (%).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 12. დანახარჯების გამიჯვნა (ალოკაცია)

დანახარჯების ალოკაცია განხორციელდება ამავე დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

თავი III. ტარიფების გაანგარიშება

მუხლი 13. ელექტროენერჯის რაოდენობა

თუ ამ მეთოდოლოგიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომისია ტარიფებს ადგენს სატარიფო წლისთვის დაგეგმილი ელექტროენერჯის რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის განსაზღვრისთვის კომისია ეყრდნობა ელექტროენერჯის რაოდენობის ფაქტობრივ მონაცემებს ან სატარიფო წლისთვის დამტკიცებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 14. გარანტირებული სიმძლავრის საფასური

1. გარანტირებული სიმძლავრის საფასური უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის (შესაბამისი ელექტროენერჯის მწარმოებლის) იმ ფიქსირებული საოპერაციო

დანახარჯებისა და კაპიტალური დანახარჯების ანაზღაურებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ელექტროენერჯის გამომუშავებასთან.

2. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განისაზღვრება თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის ყოველდღიურ განაკვეთზე (ბაზისზე).

3. გარანტირებული სიმძლავრის საფასური იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Q_{(t+1)} = \frac{OPEX_{ფიქს}(t+1) + CAPEX_{(t+1)}}{N_{(t+1)}} * K \quad (8),$$

სადაც:

$Q_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის საფასური სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი/დღე);

$OPEX_{ფიქს}(t+1)$ – საწარმოს ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$N_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნის დღეების დაგეგმილი რაოდენობა სატარიფო წლისთვის (t+1);

K – 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურების შემთხვევაში

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული კომისიის მიერ დადგენილი ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების და კაპიტალური დანახარჯების პროცენტული წილი, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის საფასურით უნდა ანაზღაურდეს. 2010 წლის ჩათვლით აშენებული თბოელექტროსადგურების შემთხვევაში $K=1$.

4. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნის დღეების რაოდენობაში არ გაითვალისწინება საწარმოს მიერ წინასწარ დაგეგმილი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებული გეგმური რემონტებისა და გეგმური გაჩერების პერიოდი (დღეები).

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 14¹. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი

1. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო იმ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი, რომელიც აშენდა 2010 წლის შემდეგ და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განესაზღვრა გარანტირებული სიმძლავრის საფასურით ასანაზღაურებელი მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების პროცენტული წილი, შესაბამის სატარიფო წელზე დგინდება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად – ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის ზედა ზღვარის განაკვეთით.

2. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის ოდენობა ყოველი საანგარიშო თვისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{ცვლ} = \frac{(P + T_{ტრანს} + T_{გაბწ}) * V}{E * (1 - CRF)} \quad (8'),$$

სადაც:

T_{ცვლ} – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი (თეთრი /კვტსთ);

P – კომისიასთან შეთანხმებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასი (თეთრი/^{მ3});

T_{ტრანს} – კომისიის ნორმატიული აქტით დადგენილი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი (თეთრი/მ3);

T_{განაწ} – კომისიის ნორმატიული აქტით იმ განაწილების ლიცენზიატისათვის დადგენილი ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი (თეთრი/მ3), რომლის მფლობელობაში არსებულ გამანაწილებელ ქსელზე არის მიერთებული გარანტირებული სიმძლავრის წყარო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

V – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ საანგარიშო თვეში ელექტროენერჯის წარმოებისათვის შესყიდული ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი მოცულობა (მ³);

E – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ საანგარიშო თვეში სალტეზე გაცემული (რეალიზებული) ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობა (კვტსთ);

CRF – კომისიის ნორმატიული აქტით დადგენილი ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატის მიერ გადასახდელი რეგულირების საფასურის კოეფიციენტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის ფორმირებისათვის საჭირო ხარჯების ოდენობისა და მათი ღირებულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია:

ა.ა) საანგარიშო თვემდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა კომისიას შესათანხმებლად წარუდგინოს ხელშეკრულება ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ;

ა.ბ) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვაზე უფლებამოსილი კვალიფიციური საწარმოს მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი პერიოდულობით მიაწოდოს მას ოპერატიული ინფორმაცია მიმდინარე საანგარიშო თვეში გამომუშავებული და სალტეზე გაცემული ელექტროენერჯისა და ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობების შესახებ;

ბ) ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატები ვალდებული არიან ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 7 რიცხვისა კომისიაში წარადგინონ დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისი მონაცემები, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ გამომუშავებული და სალტეზე გაცემული ელექტროენერჯისა და ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობების შესახებ, ხოლო თუ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, წარდგენილი მონაცემები გაკორექტირდა, დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისი კორექტირებული მონაცემები წარადგინონ კომისიაში აღნიშნული კორექტირების განხორციელებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა.“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილი ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმების თაობაზე მსჯელობის შედეგად, კომისია უფლებამოსილია, უარი განაცხადოს შეთანხმებაზე ან შეითანხმოს იგი გარკვეული დამატებითი პირობებით ან პირობების გარეშე. ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმების შემდეგ კომისია უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების ძირითადი პირობების (ფასი, ანგარიშსწორების პირობები, მოქმედების პერიოდი)

გასაჯაროებას ინფორმაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ან/და დაინტერესებული პირებისათვის პირდაპირ მიწოდების გზით;

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სრულყოფილი ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, კომისია მე-2 პუნქტის გათვალისწინებით გაანგარიშებული ტარიფების შესახებ ინფორმაციას საჯაროდ განათავსებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gnerc.org), ხოლო, შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირებისათვის ინფორმირებას უზრუნველყოფს პირდაპირი მიწოდების გზით.

6. იმ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს (თბოელექტროსადგურის) ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი, რომელიც აშენდა 2010 წლის შემდეგ და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განესაზღვრა კომისიის მიერ დადგენილი მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების ის პროცენტული წილი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს გარანტირებული სიმძლავრის საფასურით, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{ცვლ}(t+1)} = \frac{OPEX_{\text{ცვლ}(t+1)} + cFC_{(t+1)} + (OPEX_{\text{ფიქს}(t+1)} + CAPEX_{(t+1)}) * (1-K)}{E_{\text{გაც}(t+1)}} * 100 \quad (9),$$

სადაც:

$T_{\text{ცვლ}(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი სატარიფო წლისთვის (თეთრი/კვტსთ);

$OPEX_{\text{ცვლ}(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ცვლადი საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$cFC_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დანახარჯის, ამ მეთოდოლოგიის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული კორექტირებული ოდენობა (ლარი);

$E_{\text{გაც}(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის რაოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტსთ);

K – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალური და ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების პროცენტული წილი, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის საფასურით უნდა ანაზღაურდეს.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 15. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ტარიფი

1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფი განისაზღვრება იმ მომსახურებისათვის, რომელზეც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კვალიფიციური საწარმოები ელექტროენერგეტიკული სისტემის ბაზრის ოპერატორს უხდებიან მომსახურების საფასურს და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{ოპ}(t+1)} = \frac{RCB_{(t+1)}}{E_{(t+1)}} * 100 \quad (10),$$

სადაც:

$T_{\text{ოპ}(t+1)}$ – ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფი სატარიფო წლისთვის (t+1) (თეთრი/კვტსთ);

$RCB_{(t+1)}$ – რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$E_{(t+1)}$ – სატარიფო წლისთვის ელექტროენერჯის რაოდენობა, რომელზეც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ტარიფის გაანგარიშების წლის განმავლობაში კვალიფიციური საწარმოებისთვის განხორციელდება მომსახურება (კვტსთ).

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა, საწარმოს ფუნქციური თავისებურებიდან გამომდინარე, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB_{(t+1)} = (D_{(t+1)} + OPEX_{(t+1)}) \times (1+L) \quad (11),$$

სადაც:

$RCB_{(t+1)}$ – რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$D_{(t+1)}$ – სატარიფო წლის ცვეთა (ლარი);

$OPEX_{(t+1)}$ – საწარმოს საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

L – მოგების განაკვეთი დანახარჯების მიმართ, აიღება არა უმეტეს 3 პროცენტისა, რომელსაც ყოველწლიურად განსაზღვრავს კომისია (%).

3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ იმპორტ-ექსპორტის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და მოქმედი კანონმდებლობით ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები და გადასახადები არ გაითვალისწინება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას.

მუხლი 15¹. (ამოღებულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 იანვარის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 30.01.2020 წ.

თავი IV. ტარიფების კორექტირება

მუხლი 16. ტარიფების კორექტირების პრინციპები და ძირითადი მექანიზმები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია ტარიფის გაანგარიშებისას ითვალისწინებს დაგეგმილი მაჩვენებლების ასახვას რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში. შესაბამისად, კომისია სატარიფო წლისთვის ტარიფების კორექტირებას განახორციელებს დანახარჯების კორექტირების მაჩვენებლით, რომელიც ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

ა) კაპიტალური დანახარჯები;

ბ) საოპერაციო დანახარჯები;

გ) ელექტროენერჯის რაოდენობა.

2. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CORR_{(t+1)} = cRRAB_{(t+1)} + cD_{(t+1)} + cOPEX_{(t+1)} - cREV_{(t+1)} \quad (12),$$

სადაც:

$CORR_{(t+1)}$ – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$cRRAB_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ფაქტობრივ და დაგეგმილ ამონაგებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$cD_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ცვეთის ფაქტობრივ და დაგეგმილ ღირებულებებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$cOPEX_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ფაქტობრივ და დაგეგმილ საოპერაციო დანახარჯებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი);

$cREV_{(t+1)}$ – სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ელექტროენერჯის ფაქტობრივ და დაგეგმილ რაოდენობებს შორის სხვაობით, რომელიც აისახება სატარიფო წელს (ლარი).

3. კომისია უფლებამოსილია საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შეამციროს ამ დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ V და VI თავების შესაბამისად.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 17. კაპიტალური დანახარჯების კორექტირება

1. თუ საწარმოს მიერ ტარიფის გაანგარიშების წელს ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების ღირებულება განსხვავდება ტარიფში ასახული ინვესტიციების ღირებულებისაგან, ტარიფის კორექტირება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მეთოდოლოგიის მე-7 მუხლში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.

2. საწარმოს კაპიტალური დანახარჯების კორექტირება იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$cRRAB_{(t+1)} = [(aRAB_{starts(t)} - pRAB_{starts(t)}) \times r_{d t}] \times (1 + r_{d t}) \quad (13),$$

სადაც:

$cRRAB_{(t+1)}$ – ამონაგების კორექტირებული ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aRAB_{starts(t)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ფაქტობრივი ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

$pRAB_{starts(t)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის დაგეგმილი ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

$r_{d t}$ – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის მოქმედი სესხის ღირებულების ტოლია (%).

$$cD_{(t+1)} = (aD_t - pD_t) \times (1 + r_{d t}) \quad (14),$$

სადაც:

$cD_{(t+1)}$ – კორექტირებული წლიური ცვეთის ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

aD_t – ფაქტობრივი წლიური ცვეთის ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

pD_t – დაგეგმილი წლიური ცვეთის ღირებულება (t) პერიოდისთვის (ლარი);

$r_{d t}$ – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის მოქმედი სესხის ღირებულების ტოლია (%).

მუხლი 18. საოპერაციო დანახარჯების კორექტირება

1. თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული საოპერაციო დანახარჯები განსხვავდება შესაბამისი ტარიფის დადგენისას გათვალისწინებული საოპერაციო დანახარჯების ოდენობისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას შემდეგი ფორმულით:

$$cOPEX_{(t+1)} = [(aOPEX_{(t-1)} - pOPEX_{(t-1)}) \times (1 + r_{d (t-1)}) \times (1 + r_{d t}) \quad (15),$$

სადაც:

$cOPEX_{(t+1)}$ – საოპერაციო დანახარჯების კორექტირებული ოდენობა (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aOPEX_{(t-1)}$ – საოპერაციო დანახარჯების ფაქტობრივი ოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$pOPEX_{(t-1)}$ – საოპერაციო დანახარჯების დაგეგმილი ოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

r_d – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის მოქმედი სესხის ღირებულების ტოლია (%).

2. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დაგეგმილი ფასის, უცხოური ვალუტის კურსთან მიმართებაში ლარის კურსის და სათბობის ხვედრითი ხარჯის მაჩვენებლის ცვლილების შემთხვევაში, კომისია უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებას შემდეგი ფორმულით:

$$cFC_{(t+1)} = [(aV_t \times (aEXC_t \times aP_t - pEXC_t \times pP_t)) + (aE_t \times pP_t \times pEXC_t \times (aEFF_t - pEFF_t))] \times (1 + r_{dt}) \quad (16),$$

სადაც:

$cFC_{(t+1)}$ – სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებული ოდენობა (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

aV_t – შესყიდული სათბობის ფაქტობრივი მოცულობა (t) პერიოდისთვის (მ³);

$aEXC_t$ – ვალუტის ფაქტობრივი გაცვლითი კურსი (t) პერიოდისთვის;

aP_t – სათბობის შესყიდვის ფაქტობრივი სახელშეკრულებო ფასი (t) პერიოდისთვის (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში);

$pEXC_t$ – ვალუტის დაგეგმილი გაცვლითი კურსი (t) პერიოდისთვის;

pP_t – სათბობის შესყიდვის დაგეგმილი სახელშეკრულებო ფასი (t) პერიოდისთვის (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში);

$aE_{(t)}$ – სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობა (t) პერიოდისთვის (კვტსთ);

$aEFF_{(t)}$ – სათბობის ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი (t) პერიოდისთვის (მ³/კვტსთ);

$pEFF_{(t)}$ – სათბობის დაგეგმილი ხვედრითი ხარჯი (t) პერიოდისთვის (მ³/კვტსთ);

r_{dt} – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის მოქმედი სესხის ღირებულების ტოლია (%).

3. კომისია უფლებამოსილია, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დაგეგმილი ფასის, უცხოური ვალუტის კურსთან მიმართებაში ლარის კურსის და სათბობის ხვედრითი ხარჯის მაჩვენებლის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, განახორციელოს სატარიფო წლისთვის დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის ერთხელ კორექტირება საწარმოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის (სატარიფო განაცხადის) საფუძველზე, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებით შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

$$cFC_t = [(aV_t \times (aEXC_t \times aP_t - pEXC_t \times pP_t)) + (aE_t \times pP_t \times pEXC_t \times (aEFF_t - pEFF_t))] \times (1 + r_{dt})^{n/12} \quad (17),$$

სადაც:

cFC_t – სათბობის შესყიდვის დანახარჯის კორექტირებული ოდენობა (t) პერიოდისთვის (ლარი);

aV_t – შესყიდული სათბობის ფაქტობრივი მოცულობა შესაბამისი n პერიოდისთვის (m^3);

$aEXC_t$ – ვალუტის ფაქტობრივი გაცვლითი კურსი შესაბამისი n პერიოდისთვის;

aP_t – სათბობის შესყიდვის ფაქტობრივი სახელშეკრულებო ფასი შესაბამისი n პერიოდისთვის (1000 m^3 უცხოურ ვალუტაში);

$pEXC_t$ – ვალუტის დაგეგმილი გაცვლითი კურსი შესაბამისი n პერიოდისთვის;

pP_t – სათბობის შესყიდვის დაგეგმილი სახელშეკრულებო ფასი შესაბამისი n პერიოდისთვის (1000 m^3 უცხოურ ვალუტაში);

aE_t – სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობა შესაბამისი n პერიოდისთვის (კვტს);

$aEFF_t$ – სათბობის ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი შესაბამისი n პერიოდისთვის ($m^3/კვტს$);

$pEFF_t$ – სათბობის დაგეგმილი ხვედრითი ხარჯი შესაბამისი n პერიოდისთვის ($m^3/კვტს$);

r_{dt} – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის მოქმედი სესხის ღირებულების ტოლია (%);

n – კორექტირებას დაქვემდებარებული პერიოდი (თვე).

3¹. (ამოღებულია - 22.10.19, №23).

4. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საოპერაციო დანახარჯების კორექტირებისას, კომისიის მიერ არ გაითვალისწინება დროში ფულის ღირებულების განაკვეთი.

5. საწარმოთა შერწყმის (გაერთიანება, მიერთება) შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული საწარმოს დაუდგინოს ტარიფი ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების მიხედვით შესაბამისი სატარიფო წლის განმავლობაში და ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს მიმდინარე რეგულირების პერიოდის ან მომდევნო რეგულირების პერიოდის ბოლომდე.

6. იმ საწარმოთა შერწყმის (გაერთიანება, მიერთება) შემთხვევაში, რომელთაც ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე დადგენილი აქვთ ტარიფები შესაბამის რეგულირების პერიოდზე, კომისია უფლებამოსილია შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა განსაზღვროს შერწყმამდე არსებული საწარმოების რეგულირებადი დანახარჯების ბაზების გაერთიანების (კონსოლიდაციის) შედეგად.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, სატარიფო განაცხადის წარმოდგენისას, საწარმოზე არ ვრცელდება ამ მეთოდოლოგიის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 2 ივლისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 03.07.2018 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 19. ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობებით შემოსავლების კორექტირება

ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის იმ რაოდენობის კორექტირებისას, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფის დარიცხვა, კომისიის მიერ არ გაითვალისწინება დროში ფულის ღირებულების განაკვეთი.

თავი V. ტარიფების დადგენისა და განაცხადის წარდგენის პროცედურები

მუხლი 20. აღრიცხვა-ანგარიშგება

1. რეგულირების მიზნებისთვის საწარმო ვალდებულია ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ერთიანი ანგარიშგების ფორმის მოთხოვნის შესაბამისად.

2. თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას ან/და სხვა სამეწარმეო საქმიანობასაც, იგი ვალდებულია, თითოეულ რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯებისა და საფინანსო შედეგების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად.

3. საწარმომ მომხმარებლის ფინანსური წყაროებით შექმნილი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს განცალკევებულად, ამ მეთოდოლოგიის პირობების შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 21. ტარიფის დასადგენად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ტარიფის დადგენის მიზნით საწარმო ვალდებულია ტარიფის გაანგარიშების წლისთვის კომისიაში წარმოადგინოს სატარიფო განაცხადი.

2. სატარიფო განაცხადისა და მონაცემთა ფორმები, აგრეთვე სატარიფო განაცხადთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება კომისიის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სატარიფო განაცხადთან ერთად საწარმომ ასევე უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

3¹. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დასაბუთებული მოთხოვნის – სატარიფო განაცხადის გამარტივებული ფორმა და მასთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების

ჩამონათვალი განისაზღვრება კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. კომისია უფლებამოსილია საწარმოს მოსახოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.

5. სატარიფო განაცხადისა და მასზე დართული მასალების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სატარიფო განაცხადის წარმომდგენს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 24.12.2018 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

მუხლი 22. ტარიფის დადგენის ვადები და პროცედურები

1. საწარმო ვალდებულია კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 4 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.

2. კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

3. თუ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი არ შეესაბამება კომისიის მიერ განსაზღვრულ ფორმას ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია განმცხადებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად წერილობით განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა. ეს ვადა განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საწარმო კომისიაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, კომისიის გადაწყვეტილებით სატარიფო განაცხადი რჩება განუხილველად.

5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავისი ინიციატივით გადახედოს საწარმოს ტარიფებს. ამ შემთხვევაში, საწარმოს მიერ საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

6. სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.

7. სატარიფო განაცხადის განხილვა კომისიაში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. შესაბამისად, სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები (გარდა პერსონალური მონაცემებისა, სახელმწიფო ან/და კომისიის მიერ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა) საჯაროა და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის.

8. ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარმოდგენილ საჯაროდ ხელმისაწვდომ მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები.

9. სატარიფო განაცხადთან დაკავშირებული მოსაზრებები წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტაციას. ამასთან, პირი უფლებამოსილია

საკუთარი მოსაზრებების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა, წარმოდგენილი მოსაზრებების ასლი უნდა გაეგზავნოს სატარიფო განაცხადის წარმდგენს, ხოლო მოსაზრებები განიხილება სატარიფო განაცხადის საჯარო განხილვისას.

10. სატარიფო განაცხადის განხილვის პროცესში, კომისია უფლებამოსილია საწარმოსგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის ან სხვადასხვა სახის დასკვნის წარდგენა.

11. სატარიფო განაცხადის განხილვისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები აღნიშნულ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით.

12. განმცხადებელს 7 სამუშაო დღით ადრე უნდა ეცნობოს სატარიფო განაცხადის საჯარო სხდომაზე განხილვის დრო და ადგილი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 2 ივლისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 03.07.2018 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 23. გარდამავალი დებულება

1. 2021 წლის პირველ იანვრამდე კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების განაკვეთი (WACC) შეადგენს 16.40%-ს, რომლის კომპონენტების და მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთის სიდიდეები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}) – 12.22%;

ბ) სესხის ღირებულება (r_d) – 12.93%;

გ) ბაზრის რისკის პრემია (mp) – 6.17%;

დ) ქვეყნის დეფოლტ რისკი (ds) – 4.16%;

ე) ქვეყნის რისკი (cr) – 5.12%;

ვ) სექტორული რისკის კოეფიციენტი (β) – 0.84;

ზ) მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთი (r_{sd}) – 11.01%.

1¹. 2021 წლის პირველი იანვრიდან სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების განაკვეთი (WACC) შეადგენს 15.39%-ს, რომლის კომპონენტების და მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთის (r_{sd}) სიდიდეები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}) – 10.24%;

ბ) სესხის ღირებულება (r_d) – 13.19%;

გ) ბაზრის რისკის პრემია (mp) – 5.55%;

დ) ქვეყნის დეფოლტ რისკი (ds) – 3.53%;

ე) ქვეყნის რისკი (cr) – 4.41%;

ვ) სექტორული რისკის კოეფიციენტი (β) – 0.86;

ზ) მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთი (r_{sd}) – 12.13%.

2. 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი ტარიფების კორექტირების მიზნებისთვის დროში ფულის ღირებულების განაკვეთი აღნიშნულ თარიღამდე პერიოდზე, კომისიის მიერ ამავე პერიოდზე დადგენილი კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (13.54%) ტოლია.

2¹. საწარმო, რომელსაც ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე ტარიფები ჯერ არ დადგენია, არ არის ვალდებული დაიცვას სატარიფო განაცხადის წარმოდგენისთვის ამ მეთოდოლოგიის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადა.

2². (ამოღებულია - 22.10.19, №23).

3. (ამოღებულია - 22.10.19, №23).

4. (ამოღებულია - 22.10.19, №23).

5. 14¹ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით ტარიფის დადგენიდან ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ტარიფის დადგენაზე გადასვლის შემთხვევაში, ბოლო სატარიფო წლის მდგომარეობით დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფებით განსაზღვრულ გეგმურ და შესაბამის ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობით მიღებული დანახარჯების კორექტირებული ოდენობა, დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით, აისახება გარანტირებული სიმძლავრის საფასურში.

6. თუ 14¹ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით ტარიფის დადგენიდან ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ტარიფის დადგენაზე გადასვლა ხდება სატარიფო წლის შიგნით, ასეთ შემთხვევაში კომისია მიმდინარე სატარიფო წლის ბოლომდე გამოიყენებს 14¹ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით დადგენილი ტარიფით განსაზღვრულ ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასს.

7. ამ მეთოდოლოგიის 14¹ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი ამოქმედდეს 2019 წლის პირველი დეკემბრიდან.

8. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ ამოქმედებამდე ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის:

ა) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი არის საწარმოს მიერ გაწეული დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისათვის, რომელიც ხორციელდება უშუალოდ კომისიის ან/და კომისიის მიერ მოწვეული აუდიტორული ფირმის მიერ და ემსახურება/უზრუნველყოფს

სატარიფო მეთოდოლოგიებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად ტარიფების გაანგარიშებასა და დადგენას;

ბ) გონივრული დანახარჯი არის საწარმოს მიერ საჭირო მახასიათებლების მქონე საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად, მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად გაწეული ხარჯი, რომელიც რაციონალურია და აუცილებელია საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის;

გ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში წარმოქმნილი საჭიროების შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია გარდა საბაზისო/სატესტო წლის დოკუმენტაციისა და ინფორმაციისა მოითხოვოს ქვემოთ მითითებული პერიოდის ნებისმიერი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შემდეგი სახის დანახარჯთან და ემსახურება ამგვარი დანახარჯის სრულყოფილ შესწავლასა და ანალიზს:

გ.ა) საოპერაციო დანახარჯი – ორი სრული რეგულირების პერიოდი შესაბამისი სატესტო/საბაზისო წლების ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს 2015 წლისა;

გ.ბ) კაპიტალური დანახარჯი – ნებისმიერი პერიოდი;

დ) თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად ან/და სხვა სამეწარმეო საქმიანობას, საწარმოს საერთო დანახარჯების და აქტივების კონკრეტულ საქმიანობაზე გადანაწილებას ახდენს კომისია;

ე) დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს შემოსავლები ჯგუფდება შემდეგი შინაარსით:

ე.ა) საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ფორმირდება კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობის განხორციელების შედეგად;

ე.ბ) სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელსაც საწარმო იღებს კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის/საქონლის მიწოდების შედეგად და ასეთი მომსახურების პირობები განსაზღვრულია კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე.გ) არასაოპერაციო შემოსავალი, რომელიც ფორმირდება ნებისმიერი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლისაგან, გარდა ამ პუნქტის „ე.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემოსავლისა;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ საწარმო რეგულირებად საქმიანობასთან ერთად ეწევა სხვა სამეწარმეო საქმიანობას და იღებს შემოსავალს, საწარმო ვალდებულია ამგვარ საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯების და შემოსავლების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად იმისათვის, რომ იდენტიფიცირდეს კონკრეტული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის შემდეგაც აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (ან მოგება) არ დაექვემდებარება კორექტირებას;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ მიღებული შემოსავალი ფორმირდება საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების სხვა სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებით საწარმო ვალდებულია მიუთითოს ასეთი საერთო სარგებლობის აქტივებისა და ადამიანური რესურსების შესახებ იმისთვის, რომ კონკრეტული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯი მიკუთვნებულ იქნეს შესაბამის სამეწარმეო საქმიანობას;

თ) იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლის დაკავშირება შესაბამის დანახარჯთან ამ პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება სრულად შემცირებას ამგვარი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით;

ი) სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოს მიერ მიღებული სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლის აუდიტის ფარგლებში უნდა დადგინდეს საწარმოს მიერ სხვა სამეწარმეო საქმიანობიდან, მათ შორის, რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების სხვა სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებიდან მიღებული შემოსავალი ან მოგება, რომელიც თავის მხრივ შესაძლოა გამოყენებული იქნეს სრულად ან ნაწილობრივ, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის შესამცირებლად შემდეგი პროცენტული მაჩვენებლების შესაბამისად:

	დასახელება	კორექტირების პროცენტი	შენიშვნა
ი.ა)	შემოსავალი, რომელიც მიღებულია დაკავშირებული საწარმოსთვის გაწეული მომსახურებიდან ან/და მიწოდებული საქონლიდან	100%	კორექტირებას ექვემდებარება მიღებული მოგება ან შემოსავალი სრულად
ი.ბ)	შემოსავალი, რომელთან დაკავშირებული დანახარჯებიც იდენტიფიცირებულია საწარმოს საოპერაციო და კაპიტალურ ხარჯებში	50%	კორექტირებას ექვემდებარება მიღებული მოგება
ი.გ)	შემოსავალი, რომელთან დაკავშირებული დანახარჯებიც ვერ იდენტიფიცირდება საწარმოს საოპერაციო და კაპიტალურ ხარჯებში	100%	კორექტირებას ექვემდებარება მიღებული შემოსავალი
ი.დ)	სხვადასხვა შემოსავალი	100%	ნებისმიერი შემოსავალი, რომლის შინაარსის შესახებ საწარმოს მიერ დეტალური ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი

კ) ექსპლუატაციიდან გასული სრულად გაცვეთილი რეგულირებადი აქტივების რეალიზაციის შემთხვევაში, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება შემცირებას ამ რეგულირებადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული მოგების 50%-ით, ხოლო არასრულად გაცვეთილი რეგულირებადი აქტივების რეალიზაციის შემთხვევაში – 100%-ით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 2 ივლისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 03.07.2018 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №65 - ვებგვერდი, 16.12.2020 წ.

დანართი №3

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 01.11.2019 წ.

ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

„დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ მიზანია:

ა) განისაზღვროს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ელექტროენერგეტიკის სექტორის ლიცენზიატების სატარიფო რეგულირებისას განსახორციელებული დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი და პრინციპები;

ბ) დადგინდეს, რამდენად სრულყოფილად ასრულებს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმო მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობისათვის საჭირო დანახარჯების წარმოშობის, დასაბუთების, გონივრულობის და სათანადოდ აღრიცხვის კუთხით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით და კომისიის მიერ ამ დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიებით.

2. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მიზნებისათვის ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი** – საწარმოს მიერ გაწეული დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისათვის, რომელიც ხორციელდება უშუალოდ კომისიის ან/და კომისიის მიერ მოწვეული აუდიტორული ფირმის მიერ და ემსახურება/უზრუნველყოფს სატარიფო მეთოდოლოგიებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად ტარიფების გაანგარიშებასა და დადგენას;

ბ) **წესი** – დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი;

გ) **საწარმო** – დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო, რომელიც არის ელექტროენერგეტიკის სექტორის ლიცენზიატი და ექვემდებარება კომისიის სატარიფო რეგულირებას;

დ) **აუდიტორული ფირმა** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ერთიან რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირი;

ე) **ინტერესთა კონფლიქტი** – დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფის უფროსის ან/და აუდიტის ჯგუფის წევრის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასა და კერძო ინტერესებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ მიუკერძოებლად და ობიექტურად შესრულებაზე;

ვ) **გონივრული დანახარჯი** – საწარმოს მიერ საჭირო მახასიათებლების მქონე საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად, მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად გაწეული ხარჯი, რომელიც რაციონალურია და აუცილებელია საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის;

ზ) **აუდიტის ჯგუფი** – ამ წესის შესაბამისად დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განმახორციელებელი ჯგუფი;

თ) **აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო** – ელექტროენერგეტიკის სექტორის ლიცენზიატი, რომელიც ექვემდებარება კომისიის სატარიფო რეგულირებას და ამ წესის შესაბამისად უტარდება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი;

ი) **სატარიფო ერთეული** – ერთი რეგულირებადი საქმიანობის ფარგლებში არსებული სატარიფო ერთეული, რომლისთვისაც კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ინდივიდუალურად;

კ) **ტარიფით დერეგულირებული ერთეული** – ერთი რეგულირებადი საქმიანობის ფარგლებში არსებული ერთეული, რომელიც არ ექვემდებარება კომისიის სატარიფო რეგულირებას;

ლ) დანახარჯების მიკუთვნება – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაზე, რეგულირებადი საქმიანობის შემადგენელ სატარიფო ერთეულსა და ტარიფით დერეგულირებულ ერთეულზე, ასევე, სხვა სამეწარმეო საქმიანობაზე პირდაპირი დანახარჯების მიკუთვნება;

მ) დანახარჯების გადანაწილება – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაზე, რეგულირებადი საქმიანობის შემადგენელ სატარიფო ერთეულსა და ტარიფით დერეგულირებულ ერთეულზე, ასევე, სხვა სამეწარმეო საქმიანობაზე არაპირდაპირი დანახარჯების გადანაწილება;

ნ) დანახარჯების გამიჯვნა – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაზე, რეგულირებადი საქმიანობის შემადგენელ სატარიფო ერთეულსა და ტარიფით დერეგულირებულ ერთეულზე, ასევე, სხვა სამეწარმეო საქმიანობაზე მისაკუთნებელი პირდაპირი დანახარჯის და გადასანაწილებელი არაპირდაპირი დანახარჯების იდენტიფიცირება/გამიჯვნა;

ო) რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება – რეგულირებადი აქტივის (ან მასზე განხორციელებული კაპიტალური რემონტის) საწყისი ღირებულება, კორექტირებული გონივრულობის პრინციპების დაცვის, აუდიტის შედეგად მოკვლეული გარემოებების ან/და აქტივის ღირებულების სატარიფო მეთოდოლოგიების პრინციპებთან (გარდა მესამე მხარის მიერ დაფინანსებული ღირებულების გამოკლებისა) შესაბამისობაში მოყვანის შედეგად, მათ შორის, ისტორიული ღირებულების შემთხვევაში, აქტივის შექმნის ან საწყისი შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა კომპენსაციის რეალური ღირებულების თანხა, ხოლო აღდგენითი ღირებულების შემთხვევაში – აქტივის სრული (უცვეთი) აღდგენითი ღირებულება.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. წინამდებარე წესი გამოიყენება კომისიის სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული იმ საწარმოების საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტისათვის, როგორცაა:

- ა) ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატი;
- ბ) ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატი;
- გ) ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი;
- დ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატი;
- ე) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი.

2. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა) პირველი ეტაპი – დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დაგეგმვა;
- ბ) მეორე ეტაპი – დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელება;
- გ) მესამე ეტაპი – დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშის შედგენა;
- დ) მეოთხე ეტაპი – დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშის განხილვა საჯარო სხდომაზე.

3. კომისიის მიერ საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელების ფარგლებში დაცულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპები:

- ა) სამართლიანობა;
- ბ) ობიექტურობა;
- გ) არადისკრიმინაციულობა;
- დ) საჯაროობა/გამჭვირვალებობა.

მუხლი 4. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დაგეგმვა და პერიოდულობა

1. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი შეიძლება იყოს გეგმური და არაგეგმური.

2. გეგმური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი გულისხმობს დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს, რომელიც მიმდინარეობს ტარიფის გაანგარიშების წელს და ეხება (უკავშირდება) საწარმოს საბაზისო/სატესტო წლის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს.

3. გეგმური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების შესახებ, არაუგვიანეს 31 დეკემბრისა კომისია გადაწყვეტილებით ამტკიცებს მომდევნო კალენდარულ წელს განსახორციელებელი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის გეგმას, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსებული უნდა იქნეს კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს დასახელებას და საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საგანს;

გ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღებს;

დ) აუდიტის ჯგუფის შემადგენლობას.

5. არაგეგმური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი გულისხმობს კომისიის მიერ კონკრეტული საკითხისა და დანახარჯის შესწავლის მიზნით ინიცირებულ აუდიტის პროცესს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს და შეიძლება მოიცავდეს საწარმოს ნებისმიერი პერიოდის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს.

6. არაგეგმური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესის ინიცირების საფუძველი შესაძლოა იყოს საწარმოს წერილობითი მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

7. კომისია ვალდებულია წერილობით აცნობოს საწარმოს არაგეგმური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შესახებ ამგვარი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დაწყებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე და მიუთითოს არაგეგმური დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საგანი.

მუხლი 5. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფი და მისი უფლება-მოვალეობები

1. საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს ახორციელებს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფი.

2. აუდიტის ჯგუფი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს აუდიტს დაქვემდებარებულ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობა.

3. აუდიტის ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით, რომელიც შედგება აუდიტის ჯგუფის უფროსისა და აუდიტის ჯგუფის არანაკლებ ერთი წევრისაგან.

4. აუდიტის ჯგუფის უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფის მუშაობას და პასუხისმგებელია დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჩატარების ხარისხზე, ასევე, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განსაზღვრულ ვადაში დასრულებაზე;

ბ) მოქმედებს, როგორც კომისიის წარმომადგენელი საწარმოს ხელმძღვანელობასთან ან/და უფლებამოსილ პირებთან კომუნიკაციისას;

გ) უფლებამოსილია მიმართოს კომისიას ინიციატივით, რომ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში ჩართოს კომისიის აპარატის შესაბამისი სპეციალისტები, სხვა უწყებების სპეციალისტები ან/და დამოუკიდებელი ექსპერტები;

დ) უზრუნველყოფს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშის დასაბუთებულობას.

5. აუდიტის ჯგუფის მიერ მომზადებულმა დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშმა უნდა უზრუნველყოს ჩატარებული სამუშაოს, მოპოვებული მტკიცებულებებისა და გამოტანილი დასკვნების სრულყოფილად და მარტივად გაგება.

6. აუდიტის ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში აუდიტის ჯგუფმა დოკუმენტაცია უნდა გამოითხოვოს დროულად, განაახლოს ის დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების პროცესში და

დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშის გამოცემამდე უზრუნველყოს აუდიტორული მიგნებების დამადასტურებელი მტკიცებულებების დოკუმენტირება.

7. აუდიტის ჯგუფი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელებისას იცავს კანონმდებლობას, რომლებიც ეხება (უკავშირდება) საწარმოს რეგულირებად საქმიანობას და სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პრინციპებს.

8. აუდიტის ჯგუფი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჩატარებისას უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს ხელმძღვანელისაგან ან სხვა უფლებამოსილი პირისაგან;

ბ) მოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შესაბამის სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობასთან ან/და დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მიზნებთან;

გ) მოითხოვოს და შეამოწმოს დოკუმენტის დედანი ან უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასლი;

დ) არ განახორციელოს იმ დანახარჯის აუდიტი (შესწავლა და ანალიზი), რომელიც საწარმოს მიერ შინაარსობრივად არ არის ასახული კონკრეტული დანახარჯის შესაბამის მუხლში ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ე) არ განახორციელოს იმ დანახარჯის აუდიტი, რომლის შესწავლისა და ანალიზის მიზნით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს მიერ მოხდა ამგვარი ინფორმაციის წარმოდგენისათვის განსაზღვრული გონივრული ვადის დარღვევით.

9. აუდიტის ჯგუფი ვალდებულია:

ა) შეკრიბოს ყველა საჭირო ინფორმაცია საწარმოს შესახებ;

ბ) განახორციელოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზი და შეჯამება;

გ) შეისწავლოს გასული პერიოდის აუდიტის ანგარიშები;

დ) იყოს ობიექტური და კეთილსინდისიერი, თავიდან აიცილოს შედეგების წინასწარი შეფასება;

ე) უზრუნველყოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური, პერსონალური და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის სათანადოდ დაცვა;

ვ) უზრუნველყოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მასალებისა და შედეგების სათანადოდ დაცულ ადგილას შენახვა.

10. საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჩატარება ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით კომისიის მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აუდიტორული ფირმა ვალდებულია საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი განახორციელოს ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 6. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს უფლება-მოვალეობები

1. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებულმა საწარმომ კომისიის მიერ ამ წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად უნდა განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის აუდიტის ჯგუფისათვის წარდგენა და ამგვარი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მოსამზადებლად შესაბამისი ადამიანური რესურსის გამოყოფა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესის დაგეგმვას და ვადაში ჩატარებას.

2. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო უფლებამოსილია:

ა) დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს აუდიტის ჯგუფს დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენის ვადის გახანგრძლივების შესახებ;

ბ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგების პირველად ანგარიშთან დაკავშირებით აუდიტის ჯგუფს წარუდგინოს შესაბამისი განმარტებები წერილობითი ფორმით;

გ) აუდიტის ჯგუფს მოსთხოვოს კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ნორმების დაცვა და უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება ამ წესის შესაბამისად;

დ) კომისიას შეატყობინოს ნებისმიერი ფაქტი, რაც აუდიტის ჯგუფის უფროსის ან აუდიტის ჯგუფის რომელიმე წევრის უკანონო ქმედებას უკავშირდება;

ე) მონაწილეობა მიიღოს კომისიის საჯარო სხდომებში, რომელზეც კომისიის მიერ მოხდება შესაბამისი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშის განხილვა.

3. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო ვალდებულია:

ა) განსაზღვროს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში და უზრუნველყოფენ თანამშრომლობას და კომუნიკაციას საწარმოსა და დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფს შორის;

ბ) იმოქმედოს აუდიტის ჯგუფის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარდგენილ მოთხოვნებს და არ ჩაერიოს აუდიტის ჯგუფის უფლებამოსილებაში;

გ) უზრუნველყოს კომისიის მიერ დამტკიცებული სატარიფო განაცხადის ფორმების ზუსტი შევსება შესაბამის ინსტრუქციებზე დაყრდნობით, რომლებიც მოიცავს მისი შინაარსიდან გამომდინარე, როგორც თითოეული დანახარჯის შესაბამისი დასახელების მუხლში ასახვას ასევე, ამ წესის IV თავით განსაზღვრული დანახარჯების გამოჯვანის პრინციპების შესაბამისად რეგულირებად საქმიანობაზე გადანაწილებასა და მიკუთვნებას;

დ) წარადგინოს ყველა დოკუმენტი, ინფორმაცია და ელექტრონულად დამუშავებული მონაცემი, რაც მნიშვნელოვანი და საჭიროა დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელებისათვის;

ე) ნებისმიერი დოკუმენტისა და ინფორმაციის დაზუსტება განახორციელოს არაუგვიანეს სატარიფო განაცხადის წარმოდგენიდან 90 კალენდარული დღის ვადაში, გარდა ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით განსაზღვრული ვადისა;

ვ) აუდიტის ჯგუფს შეუქმნას ყველა საჭირო პირობა და სამუშაო გარემო იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი ტარდება საწარმოს ტერიტორიაზე.

მუხლი 7. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დოკუმენტაცია და აუდიტორული მტკიცებულება

1. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ინფორმაცია არის საწარმოს საბაზისო/სატესტო წლის ინფორმაცია, რომლის წარმოდგენის პირობები და ფორმები დამტკიცებულია კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დოკუმენტაცია წარმოადგენს საწარმოს საბაზისო/სატესტო წლის დოკუმენტაციას, რომლის ჩამონათვალიც განსაზღვრულია კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში წარმოქმნილი საჭიროების შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი უფლებამოსილია, გარდა საბაზისო/სატესტო წლის დოკუმენტაციისა და ინფორმაციისა მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია შემდეგი სახის დანახარჯთან და ემსახურება ამგვარი დანახარჯის სრულყოფილ შესწავლასა და ანალიზს:

ა) საოპერაციო დანახარჯი – ორი სრული რეგულირების პერიოდი შესაბამისი სატესტო/საბაზისო წლების ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს 2015 წლისა;

ბ) კაპიტალური დანახარჯი – ნებისმიერი პერიოდი.

4. აუდიტორული დოკუმენტაცია და ინფორმაცია ცხადად უნდა ასაბუთებდეს ჩატარებული დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგებს.

5. დაუშვებელია საწარმოს მიერ საკუთარი ინიციატივით დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დოკუმენტაციისა და ინფორმაციის აუდიტის ჯგუფისთვის წარდგენა სატარიფო განაცხადის წარმოდგენიდან 90 კალენდარული დღის შემდეგ;

6. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ანალიზის შედეგად აუდიტის ჯგუფმა უნდა განახორციელოს აუდიტორული მტკიცებულებების შეფასება და უზრუნველყოს აუდიტორული მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემუშავება.

7. დანახარჯის მიზანშეწონილობის განსაზღვრისთვის შესაფერისი დოკუმენტაცია და კრიტერიუმები შესაძლოა გამომდინარეობდეს სხვადასხვა ნორმების ერთობლიობიდან.

8. კანონის ან კანონქვემდებარე აქტის ნორმის სწორად გამოყენებისა და კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მოსაზრების ჩამოყალიბების მიზნით, აუდიტის ჯგუფი უფლებამოსილია, განიხილოს შესაბამისი განმარტებითი ბარათები ან/და მიიღოს კონსულტაცია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან.

9. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფი უფლებამოსილია ასევე იხელმძღვანელოს სასამართლოს ან/და კომისიის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებებით.

თავი II. მიზანშეწონილი დანახარჯები

მუხლი 8. მიზანშეწონილი დანახარჯის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. მიზანშეწონილ დანახარჯს წარმოადგენს საწარმოს მიერ რეგულირებადი საქმიანობის სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისათვის გაწეული კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯი.

2. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას სატარიფო განაცხადით, რომლის ფარგლებშიც მიზანშეწონილი კაპიტალური დანახარჯის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნება ამ წესითა და კომისიის შესაბამისი ნორმატიულ სამართლებრივ აქტებით გათვალისწინებული პრინციპები, ხოლო მიზანშეწონილ საოპერაციო დანახარჯებს შესაძლებელია მიეკუთვნოს დოკუმენტურად დადასტურებული შემდეგი შინაარსის დანახარჯები:

ა) ელექტროენერჯის შესყიდვის ხარჯი (როგორც სარეალიზაციო პროდუქტი);

ბ) გატარების ხარჯი, მათ შორის:

ბ.ა) მესამე პირების კუთვნილ ქსელში გატარების ხარჯი;

ბ.ბ) განაწილების სხვა ლიცენზიატის ქსელში გატარების ხარჯი.

გ) სახელფასო ხარჯი (ფონდი), მათ შორის:

გ.ა) სახელფასო ფონდი (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები და სხვა);

გ.ბ) სახელფასო ფონდი (ბილინგის სამსახური, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ.გ) სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია);

გ.დ) სახელფასო ფონდი (ერთ წლამდე პერიოდით ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლები).

დ) ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე;

დ.ა) საწვავის ხარჯი;

დ.ბ) მასალების ხარჯი.

ე) საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი;

ე.ა) საკუთარი ძალებითა და მასალებით შესრულებული მიმდინარე რემონტის ხარჯი;

ე.ბ) კონტრაქტორის მიერ შესრულებული მიმდინარე რემონტის ხარჯი.

ვ) ადმინისტრაციული ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი;

- ზ) კომუნალური ხარჯი, მათ შორის:
 - ზ.ა) ელექტროენერჯის ხარჯი;
 - ზ.ბ) ბუნებრივი გაზის ხარჯი;
 - ზ.გ) წყალმომარაგების ხარჯი;
 - ზ.დ) დასუფთავების ხარჯი.
- თ) საკომუნიკაციო ხარჯი, მათ შორის:
 - თ.ა) ლოკალური და ფიჭური სატელეფონო კავშირგაბმულობის ხარჯი;
 - თ.ბ) ინტერნეტ პროვაიდერული მომსახურების ხარჯი;
 - თ.გ) სატელეკომუნიკაციო ხარჯი;
 - თ.დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯი;
 - თ.ე) საფოსტო-საკურიერო მომსახურების ხარჯი.
- ი) საკანცელარიო ხარჯი;
- კ) სამივლინებო ხარჯი, მათ შორის:
 - კ.ა) ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯი;
 - კ.ბ) ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯი.
- ლ) საკონსულტაციო ხარჯი, მათ შორის:
 - ლ.ა) აუდიტორული მომსახურების ხარჯი;
 - ლ.ბ) საშემფასებლო მომსახურების ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული/ჩართული აქტივების შეფასებასთან;
 - ლ.გ) საგადასახადო კონსულტაციის ხარჯი;
 - ლ.დ) საინვესტიციო პროექტებზე საექსპერტო მომსახურების ხარჯი;
 - ლ.ე) რეგულირებადი საქმიანობის სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო ხარჯები ბუღალტრულ, იურიდიულ, საინჟინრო-ტექნიკურ და თანმიმდევრულ/სწორ ოპერირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- მ) წარმომადგენლობითი ხარჯი;
- ნ) დაცვის ხარჯი, მათ შორის:
 - ნ.ა) შენობა-ნაგებობებისა და რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული აქტივების, მარაგების ცოცხალი ძალით დაცვის მომსახურების ხარჯი;
 - ნ.ბ) შენობა-ნაგებობებისა და რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული/ჩართული აქტივების, მარაგების დისტანციური დაცვითი სისტემების ხარჯი, მათ შორის ამგვარი სისტემების სამონტაჟო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
 - ნ.გ) რეგულირებადი აქტივების, მარაგების ტრანსპორტირების ფარგლებში საჭირო ტვირთის დაცვა/გაცილების მომსახურების ხარჯი.
- ო) იჯარის ხარჯი, მათ შორის:
 - ო.ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა;
 - ო.ბ) შენობა-ნაგებობების იჯარა;
 - ო.გ) მილსადენების/ქსელის იჯარა;
 - ო.დ) მიწის იჯარა.
- პ) დაზღვევის ხარჯი, მათ შორის:
 - პ.ა) ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი;
 - პ.ბ) რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული აქტივების დაზღვევის ხარჯი.
- ჟ) ბაზრის ოპერატორის მომსახურების ხარჯი;
- რ) კომისიის რეგულირების საფასური;
- ს) ქონების გადასახადი (გარდა მიწისა);
- ტ) მიწაზე ქონების გადასახადი;
- უ) სხვა საგადასახადო ხარჯი, მათ შორის:

უ.ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი;

უ.ბ) საბაჟო მოსაკრებელი.

ფ) სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც შინაარსობრივად არ მიეკუთვნება ამ მუხლის ა-უ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ხარჯებს, თუმცა საჭირო და აუცილებელია რეგულირებადი საქმიანობის განხორციელებისათვის, მათ შორის:

ფ.ა) სატრენინგო და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო მომსახურების ხარჯები;

ფ.ბ) აქტივების რეგისტრაციისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების ხარჯები;

ფ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი;

ფ.დ) ბანკის მომსახურების ხარჯი;

ფ.ე) პროგრამული უზრუნველყოფის საექსპლუატაციო და სალიცენზიო პაკეტების ხარჯი;

ფ.ვ) სპეციალური დანიშნულების ბლანკების, სატენდერო მოსაკრებლებისა და აუქციონზე მონაწილეობის ხარჯები;

ფ.ზ) სხვადასხვა.

3. ისეთი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია რეგულირებად საქმიანობასთან, თუმცა არ არის მოცემული ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალში აუდიტს დაქვემდებარებულმა საწარმომ უნდა ასახოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის „ფ.ზ“ ქვეპუნქტში (კატეგორია – „სხვადასხვა“).

4. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებულმა საწარმომ სხვა საქმიანობის სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის რეგულირებად საქმიანობასთან უნდა ასახოს განცალკევებულად, სატარიფო განაცხადის ფორმით გათვალისწინებულ შესაბამის ველში.

მუხლი 9. მიზანშეწონილი დანახარჯის გონივრული ოდენობა

1. საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შინაარსობრივი შესწავლის ფარგლებში მიზანშეწონილად მიჩნეული დანახარჯი, თავის მხრივ, შესაძლოა დაექვემდებაროს დანახარჯის გონივრულ ოდენობამდე კორექტირებასა და განსაზღვრას იმის გათვალისწინებით, თუ რა ხარისხით, მოცულობითა და მასშტაბით არის საჭირო კონკრეტული საქონელი, მომსახურება ან/და სამუშაო საწარმოს მიერ რეგულირებადი საქმიანობის განხორციელებისათვის.

2. ადმინისტრაციულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული მიზანშეწონილი დანახარჯის გონივრული ოდენობის განსაზღვრის მიზნით გამოყენებულ იქნება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული ნორმები სახელმწიფო სტრუქტურების სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ.

3. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების ნორმის გონივრული ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით.

4. ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის გონივრული ღირებულების განსაზღვრის მიზნით შესაბამისი აუდიტი ჩატარდება აღნიშნული შენობა-ნაგებობის დანიშნულების კონტექსტში, მასში განთავსებული თანამშრომლების მიზანშეწონილ რაოდენობასთან მიმართებით.

5. რეგულირებადი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო აქტივების იჯარის ხარჯის გონივრული ოდენობა შესაძლოა განსაზღვრულ იქნეს შედარებითი ანალიზის, საბაზრო პრინციპების ან ამავე აქტივზე სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად დათვლილი წლიური კაპიტალური დანახარჯის პრინციპით.

6. იმ შემთხვევაში, როცა რეგულირებადი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო აქტივის იჯარის ხარჯის გონივრული ოდენობა განისაზღვრება სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად დათვლილი წლიური კაპიტალური დანახარჯის პრინციპით, იგი მიეკუთვნება არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯს. ამასთან, აღნიშნული დანახარჯის გონივრული

ოდენობა ასევე მოიცავს ამ აქტივთან დაკავშირებულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქონების გადასახადს.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №65 - ვებგვერდი, 16.12.2020 წ.

თავი III. არამიზანშეწონილი დანახარჯები

მუხლი 10. დანახარჯის არამიზანშეწონილად მიჩნევის კრიტერიუმები

1. დანახარჯი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს მიჩნეული არამიზანშეწონილად იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) პირდაპირ და უშუალოდ არ არის დაკავშირებული კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან;
- ბ) არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობისთვის;
- გ) არ არის ორიენტირებული რეგულირებადი საქმიანობის ფარგლებში საქონლის ან მომსახურების შესაბამისი ხარისხითა და მოცულობით მიწოდების უზრუნველყოფაზე.

2. არამიზანშეწონილად მიჩნეული დანახარჯი არ ექვემდებარება შესაბამის სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებას.

მუხლი 11. არამიზანშეწონილი დანახარჯების ჩამონათვალი

1. არამიზანშეწონილია დანახარჯი, როდესაც იგი არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობისთვის ან/და გამოწვეულია საწარმოს არაეფექტური ფუნქციონირებით. ასეთ დანახარჯებს მიეკუთვნება:

- ა) უიმედო ვალების ჩამოწერა;
- ბ) პირგასამტეხლოსა და საჯარიმო სანქციებზე გაწეული ხარჯები;
- გ) სასამართლოს ხარჯები და სამართლებრივ დავასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დანახარჯი, მათ შორის, საკონსულტაციო, იურიდიულ და სხვა მომსახურებებზე;
- დ) ზენორმატიულ დანაკარგზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) ხარჯი;
- ე) წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში გასართობი ღონისძიებებსა და პრივილეგირებულ (VIP) მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, ასევე, ალკოჰოლური სასმელების შესყიდვის ხარჯები;
- ვ) პირადი დაცვის ხარჯები;
- ზ) ფინანსური, საოპერაციო და ბიზნეს რისკების, აგრეთვე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხარჯები;
- თ) პროფესიულ ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებში წევრობის ხარჯები, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ რეგულირებად საქმიანობასთან;
- ი) ქველმოქმედების ხარჯები;
- კ) სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯები, გარდა სოციალური და მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროექტებისა;
- ლ) ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება, გარდა სატარიფო მეთოდოლოგიებით გათვალისწინებული იმ შემთხვევისა, როდესაც რეგულირებადი აქტივი ექსპლუატაციიდან გაყვანილი და ჩანაცვლებული იქნა სხვა რეგულირებადი აქტივით საკანონმდებლო ნორმის მოთხოვნათა საფუძველზე;
- მ) ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისის თანხა;
- ნ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ო) არარეგულირებად აქტივებზე ქონების გადასახადი;
- პ) იჯარის ხარჯის ის ნაწილი, რომელიც აღემატება იჯარით აღებული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით გაანგარიშებული წლიური ცვეთისა და ამონაგების ჯამურ ოდენობას;

ჟ) საწარმოს სამტატო განრიგში არსებული ვაკანტური პოზიციების სახელფასო ხარჯი, რომელიც აღემატება საწარმოში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის 2%-ს.

რ) სხვა ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

თავი IV. დანახარჯების გამიჯვნა

მუხლი 12. დანახარჯების გამიჯვნა საქმიანობის მიხედვით

1. აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო ვალდებულია დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში აუდიტის ჯგუფს წარუდგინოს ყველა ის ინფორმაცია (მონაცემი), რომელზე დაყრდნობითაც განახორციელა დანახარჯების მიკუთვნება და გადანაწილება.

2. იმ შემთხვევაში თუ საწარმო სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობასთან ერთად ეწევა სხვა რეგულირებად ან/და სხვა სამეწარმეო საქმიანობას, საწარმო ვალდებულია ამგვარ საქმიანობებთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად და ასევე, მოახდინოს ამ საქმიანობებში გამოყენებული აქტივებისა და დასაქმებული თანამშრომლების გამიჯვნა.

3. აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო ვალდებულია, რეგულირებად საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები (მათ შორის, ცვეთის ხარჯი), თანამშრომელთა რაოდენობა და აქტივები შესაბამისი ღირებულებით მიაკუთვნოს კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობას. რამდენიმე რეგულირებადი ან/და სხვა სამეწარმეო საქმიანობის საოპერაციო დანახარჯებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გადანაწილება შესაბამისი საქმიანობების მიხედვით საწარმოს მიერ და ერთდროულად რამდენიმე რეგულირებად ან/და სხვა სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებული აქტივების ღირებულების გადანაწილება აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდება შემდეგი პრინციპებით:

ა) რეგულირებად და სხვა სამეწარმეო საქმიანობებს შორის საერთო დანახარჯები (აქტივების ღირებულება, შესაბამისი ცვეთა და საოპერაციო დანახარჯები) და თანამშრომლების რაოდენობა უნდა გადაანაწილდეს ამ საქმიანობებით მიღებული შემოსავლების იმ პროპორციით, რომელიც განისაზღვრება ბოლო დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს რეგულირებადი საქმიანობები მოიცავს ერთზე მეტ რეგულირებად სექტორს (ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი გაზი, წყალმომარაგება), სექტორებს შორის დანახარჯების გადანაწილების პრინციპი განისაზღვრება ინდივიდუალურად კონკრეტული საწარმოსთვის რეგულირებადი საქმიანობების სპეციფიკის გათვალისწინებით.

გ) ერთი რეგულირებადი სექტორის რამდენიმე რეგულირებად საქმიანობას შორის საერთო დანახარჯები (აქტივების ღირებულება, შესაბამისი ცვეთა და საოპერაციო დანახარჯები) და თანამშრომელთა რაოდენობა უნდა გადაანაწილდეს ამ საქმიანობების ფარგლებში ბოლო დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად განსაზღვრული რეალიზებული საქონლის რაოდენობის პროპორციულად. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული პრინციპი არ ეხება ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციასა და გადაცემას (მათ შორის, ტრანზიტის) შორის გადანაწილებას. აღნიშნული საქმიანობებს შორის დანახარჯებისა და თანამშრომელთა რაოდენობების გადანაწილება უნდა განხორციელდეს ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

დ) იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ეწევა რამდენიმე რეგულირებად საქმიანობას და ასევე ერთ ან რამდენიმე სხვა სამეწარმეო საქმიანობას, საერთო დანახარჯებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გადანაწილება უნდა განხორციელდეს შემდეგი ეტაპების დაცვით:

დ.ა) გადანაწილება უნდა მოხდეს რეგულირებად საქმიანობებსა და სხვა სამეწარმეო საქმიანობას (საქმიანობებს) შორის ამ მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად;

დ.ბ) გადანაწილება უნდა მოხდეს რეგულირებად საქმიანობებს შორის ამ მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად;

დ.გ) გადანაწილება უნდა მოხდეს რეგულირებად საქმიანობებს შორის ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 13. დანახარჯების გამიჯვნა რეგულირებადი საქმიანობების ფარგლებში

1. აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო ვალდებულია, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში აუდიტის ჯგუფს წარუდგინოს ყველა ის ინფორმაცია (მონაცემი), რომელზე დაყრდნობითაც განხორციელა დანახარჯების მიკუთვნება და გადანაწილება.

2. იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებულ საწარმოს ერთი რეგულირებადი საქმიანობის ფარგლებში უდგინდება რამდენიმე ტარიფი ან ეს საქმიანობა მოიცავს ტარიფით დერეგულირებულ ერთეულებსაც ან ამ საქმიანობის ფარგლებში საწარმო ოპერირებას უწევს სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების (მაბვის საფეხურები) მქონე ქსელს, საწარმო ვალდებულია ცალკეულ სატარიფო ერთეულს, ტარიფით დერეგულირებულ ერთეულებსა თუ სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე ქსელთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად და ასევე, მოახდინოს გამოყენებული აქტივებისა და დასაქმებული თანამშრომლების გამიჯვნა.

3. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო ვალდებულია ერთი რეგულირებადი საქმიანობის ფარგლებში სატარიფო ერთეულის ან/და ტარიფით დერეგულირებული ერთეულების ან/და სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე ქსელის არსებობისას, პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები, თანამშრომელთა რაოდენობა და აქტივები შესაბამისი ღირებულებით მიაკუთვნოს კონკრეტულ სატარიფო ან/და ტარიფით დერეგულირებულ ერთეულს, ან/და კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ქსელს.

4. ერთდროულად რამდენიმე სატარიფო ან ტარიფით დერეგულირებული ერთეულის ან/და სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე ქსელის საოპერაციო დანახარჯებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გადანაწილება შესაბამისი სატარიფო ან/და დერეგულირებული ერთეულების, ან/და სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე ქსელის მიხედვით საწარმოს მიერ უნდა განხორციელდეს ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

5. ერთდროულად რამდენიმე სატარიფო ან ტარიფით დერეგულირებულ ერთეულში ან/და სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე ქსელის ოპერირებაში გამოყენებული აქტივების ღირებულების გადანაწილება შესაბამისი სატარიფო ან/და ტარიფით დერეგულირებული ერთეულების, ან/და სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე ქსელის მიხედვით დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდება ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

თავი V. ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების, სიმძლავრის გაზრდის და აღრიცხვის კვანძის მოწყობის დანახარჯები

მუხლი 14. დანახარჯების ასახვა ელექტროენერგეტიკის სექტორში

1. საწარმო ვალდებულია ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთებასთან, მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდასთან, აღრიცხვის კვანძის მოწყობასთან ან მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთებასთან დაკავშირებული შემოსავლები და დანახარჯები აღრიცხოს და წარმოადგინოს ინდივიდუალურად, მომსახურების მოთხოვნის შესახებ განაცხადების მიხედვით.

2. საწარმოს მიერ ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების, მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის, აღრიცხვის კვანძის მოწყობის ან მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების შემთხვევაში, სადაც საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლების დარიცხვა განხორციელდა კომისიის დადგენილებით განსაზღვრული საფასურების შესაბამისად,

საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზა ექვემდებარება საფასურის დარიცხვით მიღებული შემოსავლების ფარგლებში შექმნილი აქტივების ღირებულებით შემცირებას.

3. იმ შემთხვევებში, თუ ელექტრონერგის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის, მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის, აღრიცხვის კვანძის მოწყობის ან მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების ფარგლებში მიღებული შემოსავალი აჭარბებს ამ მიერთების ფარგლებში შექმნილი აქტივების ღირებულებას, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება მიერთების ფარგლებში მიღებულ შემოსავალსა და მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის არსებული დადებითი სხვაობით შემცირებას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, თუ ელექტრულ ქსელზე სამუშაოები ხორციელდება საწარმოსა და მომხმარებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მიღებული შემოსავალი აჭარბებს საწარმოს მიერ ამ სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება მიღებულ შემოსავალსა და გაწეულ დანახარჯებს შორის არსებული დადებითი სხვაობის 50%-ით შემცირებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები ასახულია დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში, იგი (რეგულირებადი აქტივების ბაზა) ექვემდებარება შემცირებას ამ აქტივის სრული ღირებულებით.

6. ელექტრონერგის გადამცემ ქსელზე მიერთების პირველ ეტაპზე, სადაც საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლების დარიცხვა განხორციელდა კომისიის დადგენილებით განსაზღვრული საფასურების შესაბამისად, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება შემცირებას მიერთების მსურველის მიერ გადახდილი საფასურის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწარმო ვალდებულია განმცხადებელს დაუბრუნოს მიერთების პირველი ეტაპის საფასური.

7. ელექტრონერგის გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპზე, სადაც საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლების დარიცხვა განხორციელდა კომისიის დადგენილებით განსაზღვრული საფასურების შესაბამისად, საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზა ექვემდებარება მიერთების მსურველის მიერ გადახდილი საფასურის ფარგლებში შექმნილი აქტივების ღირებულებით შემცირებას.

8. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონერგის გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპის საფასურით მიღებული შემოსავალი აჭარბებს ამ მიერთების ფარგლებში შექმნილი აქტივების ღირებულებას, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება მიერთების საფასურსა და მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის არსებული დადებითი სხვაობით შემცირებას.

9. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, თუ ელექტრონერგის გადამცემ ქსელზე მიერთების სამუშაოები ხორციელდება საწარმოსა და მიერთების მსურველს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მიღებული შემოსავალი აჭარბებს საწარმოს მიერ ამ მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება მიღებულ შემოსავალსა და მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის არსებული დადებითი სხვაობის 50%-ით შემცირებას.

10. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული ელექტრონერგის გადამცემ ქსელზე მიერთების სამუშაოზე გაწეული დანახარჯები ასახულია დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში, იგი (რეგულირებადი აქტივების ბაზა) ექვემდებარება შემცირებას ამ აქტივის სრული ღირებულებით.

11. იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვერ უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების, მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის, აღრიცხვის კვანძის მოწყობის ან მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ქსელზე მიერთების შემოსავლებისა და დანახარჯების წარმოდგენას მომსახურების მოთხოვნის შესახებ განაცხადების მიხედვით, რეგულირებადი აქტივების ბაზის ან/და რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირების მიზნით გამოყენებული იქნება ამ მუხლში ასახული პრინციპებისგან განსხვავებული მიდგომა.

თავი VI. სხვა შემოსავალი

მუხლი 15. მიღებული შემოსავალი

1. აუდიტის ჯგუფი სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში ახორციელებს ამ საწარმოს შემოსავლების აუდიტს.

2. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს შემოსავლები ჯგუფდება შემდეგი შინაარსით:

ა) საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ფორმირდება კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობის განხორციელების შედეგად;

ბ) სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელსაც საწარმო იღებს კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის/საქონლის მიწოდების შედეგად და ასეთი მომსახურების პირობები განსაზღვრულია კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

გ) არასაოპერაციო შემოსავალი, რომელიც ფორმირდება ნებისმიერი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლისაგან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა-ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემოსავლისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობასთან ერთად ეწევა სხვა სამეწარმეო საქმიანობას და იღებს შემოსავალს, საწარმო ვალდებულია ამგვარ საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯების და შემოსავლების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად იმისათვის, რომ იდენტიფიცირდეს კონკრეტული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის შემდეგაც აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (ან მოგება) არ დაექვემდებარება კორექტირებას.

4. იმ შემთხვევაში თუ მიღებული შემოსავალი ფორმირდება საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების სხვა სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებით საწარმო ვალდებულია მიუთითოს ასეთი საერთო სარგებლობის აქტივებისა და ადამიანური რესურსების შესახებ იმისათვის, რომ კონკრეტული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯი მიკუთვნებულ იქნას შესაბამის სამეწარმეო საქმიანობას.

5. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლის დაკავშირება შესაბამის დანახარჯთან ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება სრულად შემცირებას ამგვარი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით.

6. სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოს მიერ მიღებული სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლის აუდიტის ფარგლებში აუდიტის ჯგუფის მიერ უნდა დადგინდეს საწარმოს მიერ სხვა სამეწარმეო საქმიანობიდან, მათ შორის, რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების სხვა სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებიდან, მიღებული შემოსავალი ან მოგება, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სრულად ან ნაწილობრივ, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის შესამცირებლად, ამ წესის დანართი №2-ით გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების შესაბამისად.

7. ექსპლუატაციიდან გასული, სრულად გაცვეთილი რეგულირებადი აქტივების რეალიზაციის შემთხვევაში, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება შემცირებას ამ რეგულირებადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული მოგების 50%-ით, ხოლო არასრულად გაცვეთილი რეგულირებადი აქტივების რეალიზაციის შემთხვევაში – 100%-ით.

8. საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ექვემდებარება შემცირებას ელექტროენერჯის მომარაგების აღდგენის ფარგლებში დარიცხული საფასურის 100%-ით.

თავი VII. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიში

მუხლი 16. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშის სტრუქტურა

1. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შესახებ ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ა) მოკლე მიმოხილვა დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მასშტაბებისა და ძირითადი მიდგომების შესახებ;
- ბ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მიზნები, ამოცანები და სამართლებრივი საფუძვლები;
- გ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში გამოყენებული კრიტერიუმები, მტკიცებულებები, მეთოდები, მონაცემთა წყაროები და გამოყენებულ მონაცემებზე შეზღუდვები, კერძოდ, პერსონალური და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყენების პირობები;
- დ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში გამოკვეთილი აუდიტის ჯგუფის წევრების (მათ შორის, აუდიტის ჯგუფის უფროსის) განსხვავებული მოსაზრებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ე) მიგნებები და დეტალური ინფორმაცია დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მიგნებებისა და მტკიცებულებების შესახებ;
- ვ) დასკვნები;
- ზ) რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. აუდიტის ჯგუფი კომისიას საჯარო სხდომაზე წარუდგენს მხოლოდ სრულყოფილ ანგარიშს, რომელიც მოიცავს აღწერილობასა და განმარტებებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ყველა საკითხზე.

3. იმ შემთხვევაში თუ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიში აუდიტის ჯგუფის მიერ შედგენილი არ არის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ყველა საკითხის გათვალისწინებით, ასეთი ანგარიში არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად.

მუხლი 17. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პირველადი ანგარიში და მასზე კომენტარების წარდგენა

1. აუდიტის ჯგუფი საწყის ეტაპზე შეიმუშავებს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშის პროექტს, რომელიც დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებულ საწარმოს წარედგინება პირველადი ანგარიშის სახით.

2. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პირველადი ანგარიში მოიცავს ამ წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ყველა საკითხს.

3. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებულ საწარმოს წერილობითი ფორმით ეგზავნება პირველადი ანგარიში (დამხმარე Excel ფაილთან ერთად) შემდგომი გაცნობის მიზნით, რომელზეც შესაბამისი კომენტარებისა და განმარტებების აუდიტის ჯგუფისთვის წარდგენისათვის განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.

4. აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს მიერ პირველად ანგარიშზე შესაბამისი კომენტარებისა და განმარტებების წარმოდგენის შემთხვევაში აუდიტის ჯგუფი ვალდებულია განიხილოს იგი და შესაბამისი დასაბუთებული პოზიცია ასახოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პირველად ანგარიშში.

5. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარუდგენს აუდიტის ჯგუფს შესაბამის კომენტარებსა და განმარტებებს, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პირველადი ანგარიში მიჩნეულ იქნება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საბოლოო ანგარიშად.

მუხლი 18. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საბოლოო ანგარიში და მისი საჯაროობა

1. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პირველად ანგარიშს საბოლოო ანგარიშის სტატუსი ენიჭება მხოლოდ ამ წესის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდგომ.

2. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საბოლოო ანგარიშს ხელს აწერენ აუდიტის ჯგუფის უფროსი და აუდიტის ჯგუფის წევრები, ასევე, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში ჩართული კომისიის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

3. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საბოლოო ანგარიშის კომისიისთვის წარდგენა და განხილვა მიმდინარეობს კომისიის საჯარო სხდომაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4. დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებულ საწარმოს ეგზავნება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საბოლოო ანგარიში და კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობება საბოლოო ანგარიშის საჯარო სხდომაზე განხილვის დრო და ადგილი.

5. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის საბოლოო ანგარიში საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

საერთო დანახარჯების გადანაწილების პრინციპები

№	გადასანაწილებელი დანახარჯი	საქმიანობა	გადანაწილების ობიექტები	გადანაწილების პროპორცია / ალოკატორი
1	აქტივების ღირებულება, ღირებულების შესაბამისი ცვეთა, საოპერაციო დანახარჯები და თანამშრომელთა რაოდენობა	ელექტროენერჯის წარმოება	ჰიდრო- ელექტროსადგურები; თბოელექტროსადგურის ბლოკები	ბოლო აუდიტის შედეგად განსაზღვრული არსებული დადგმული სიმძლავრე
2	აქტივების ღირებულება და ღირებულების შესაბამისი ცვეთა	ელექტროენერჯის განაწილება და გადაცემა	ძაბვის საფეხურები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
3	აქტივების ღირებულება და ღირებულების შესაბამისი ცვეთა	ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის საქმიანობები (მათ შორის, ტრანზიტი)	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
4	ნორმატიული დანაკარგების ღირებულება	ელექტროენერჯის განაწილება	ძაბვის საფეხურები	ბოლო აუდიტის შედეგად განსაზღვრული საპროგნოზირებადი საჭიროების საფუძველზე რაოდენობა, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით (ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესი) სხვა რამე არ არის გათვალისწინებული
5	მესამე პირების კუთვნილ ქსელში ელექტროენერჯის გატარების ხარჯი	ელექტროენერჯის გატარება	ძაბვის საფეხურები	ბოლო აუდიტის შედეგად განსაზღვრული იმ აბონენტთა რაოდენობა, რომლებსაც ემსახურება აღნიშნული ქსელი

6	განაწილების სხვა ლიცენზიატის კუთვნილ ქსელში ელექტროენერჯის გატარების ხარჯი	ელექტროენერჯის გატარება	ძაბვის საფეხურები	ბოლო აუდიტის შედეგად განსაზღვრული იმ აბონენტთა რაოდენობა, რომლებსაც ემსახურება აღნიშნული ქსელი
7	ტექნიკური პერსონალის სახელფასო ფონდი და ტექნიკური პერსონალის რაოდენობა	ელექტროენერჯის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის საქმიანობები (მათ შორის, ტრანზიტი)	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება. (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
8	ბილინგის სამსახურის სახელფასო ფონდი და ბილინგის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა	ელექტროენერჯის განაწილება	ძაბვის საფეხურები	ბოლო აუდიტის შედეგად განსაზღვრული აღრიცხვის კვანძების რაოდენობა (საბაზისო წლის ბოლოს)
9	ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ფონდი და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა	ელექტროენერჯის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	კონკრეტულ სატარიფო ერთეულზე ან/და ტარიფით დერეგულირებულ ერთეულზე პირდაპირ დასაქმებული თანამშრომლების მიკუთვნებისა და მე-8 და მე-9 პუნქტების გათვალისწინებით საერთო თანამშრომლების გადანაწილების შედეგად მიღებული თანამშრომელთა რაოდენობა
10	ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	ელექტროენერჯის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
11	საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	ელექტროენერჯის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)

22	ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი	ელექტროენერგიის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
23	ბაზრის ოპერატორის მომსახურების ხარჯი	ელექტროენერგიის განაწილება	ძაბვის საფეხური	საანგარიშო თვის განაწილებული (გატარების გარეშე) ელექტროენერგიის რაოდენობა
24	ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	ელექტროენერგიის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
25	მიწაზე ქონების გადასახადი	ელექტროენერგიის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
26	სხვა საგადასახადო ხარჯი	ელექტროენერგიის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)
27	სხვა საოპერაციო დანახარჯები	ელექტროენერგიის განაწილება და გადაცემა; ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია და გადაცემა (მათ შორის, ტრანზიტი) (საქმიანობებს შორის)	ძაბვის საფეხურები; ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობები	რეგულირებადი აქტივების რეგულირებადი საწყისი (საბალანსო) ღირებულება (ბოლო აუდიტით განსაზღვრული)

დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს დაქვემდებარებული საწარმოს მიერ მიღებული სხვა შემოსავლის კორექტირების პრინციპები

№	დასახელება	კორექტირების პროცენტი	შენიშვნა
1	შემოსავალი, რომელიც მიღებულია დაკავშირებული საწარმოსთვის გაწეული მომსახურებიდან ან/და მიწოდებული საქონლიდან	100%	კორექტირებას ექვემდებარება მიღებული მოგება ან შემოსავალი სრულად
2	შემოსავალი, რომელთან დაკავშირებული დანახარჯებიც იდენტიფიცირებულია საწარმოს საოპერაციო და კაპიტალურ ხარჯებში	50%	კორექტირებას ექვემდებარება მიღებული მოგება
3	შემოსავალი, რომელთან დაკავშირებული დანახარჯებიც ვერ იდენტიფიცირდება საწარმოს საოპერაციო და კაპიტალურ ხარჯებში	100%	კორექტირებას ექვემდებარება მიღებული შემოსავალი
4	სხვადასხვა შემოსავალი	100%	ნებისმიერი შემოსავალი, რომლის შინაარსის შესახებ საწარმოს მიერ დეტალური ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი

დანართი №4 (ძალადაკარგულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №20 - ვებგვერდი, 22.08.2017 წ.
 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის ნორმები

1. სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების მიერ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ შექმნილ ან/და შეძენილ აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის შემდეგი ნორმები:

№	საერთო აქტივები	ცვეთა/ამორტიზაციის წლიური ნორმა (%)	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
1	ყველა სახეობისა და კონსტრუქციის ხიდები (გარდა ხისა და ლითონისა ხის ბურჯებზე)	1.0	100
2	ხისა და ლითონის ხიდები ხის ბურჯებზე	5.0	20
3	ბეტონის, რკინაბეტონის და ქვის ესტაკადები, ამადლებული გზები	2.5	40
4	ცემენტბეტონის გზები	2.0	50
5	ასფალტბეტონის გზები	3.33	30
6	ღორღისა და ხრეშის გზები	5.0	20
7	შემაკავებელი და დამცავი ნაგებობანი – ქვის, ბეტონის და რკინაბეტონის (მეწყერსაწინააღმდეგო, ზვავსაწინააღმდეგო, ჩამონგრევის საწინააღმდეგო საყრდენები, დამჭერი კედლები და სხვა)	1.66	60
8	ჰესის და ჰაესის შენობები (ბეტონის და რკინაბეტონის: კალაპოტური, შეთავსებული და ბურჯისებური, კაშხალთან მდებარე, დერივაციული, მიწისქვეშა)	1.82	55
9	ადმინისტრაციული შენობები	1.54	65
10	სადგურის კუთვნილი საცხოვრებელი შენობები	1.0	100

11	ქვესადგურის შენობები	1.66	60
12	სასაწყობო ფართი და მარტივი ტიპის ნაგებობები	5.0	20
13	ავტოსადგომი	4.0	25
14	ლითონის/პანელების კონტეინერები	5.0	20
15	ავეჯი და მოძრავი ინვენტარი	10.0	10
16	კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	20.0	5
17	ხელსაწყო-ინსტრუმენტები / მოწყობილობები	20.0	5
18	ტელეფონები და რადიოკავშირის მოწყობილობები	20.0	5
19	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	12.5	8
20	მძიმე სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური ტექნიკა	8.33	12
21	ხიდური ამწე (სტაციონალური და გადასატანი)	4.0	25
22	არამატერიალური აქტივები	20.0	5

	ჰიდროტექნიკური ნაგებობები		
23	ბეტონის და რკინაბეტონის კაშხლები	1.0	100
24	წყალსაცავები მიწის კაშხლებზე	1.33	75
25	სადერივაციო არხები და ელექტროსადგურის აუზები	1.0	100
26	წყალსაგდებები და წყალმიმღებები, სალექარები, აქვედუკები, დიუკერები, ღარები და თევზსავალი ნაგებობები	2.0	50
27	სადაწნეო მილსადენები და გამათანაბრებელი რეზერვუარები, სადაწნეო აუზები თავისუფალი წყალსატარებით და სიღრმული ნატან გამრეცხი ფარის ამწე მექანიზმით.	1.0	100
28	რკინაბეტონის, ბეტონის და ქვანაყარი ნაპირსამაგრი და ნაპირდამცავი ნაგებობები	3.33	30
29	მიწით შემოკავებული მოუპირკეთებელი ჯებირები	1.0	100
30	ჰიდროტექნიკური ნაგებობები არხებზე (მარეგულირებელი რაბები, ვარდნილები, სწრაფსადენები, კონსოლური ვარდნილები)	2.5	40
31	ყველა სახის მარეგულირებელი (გამმართველი) ნაგებობები (მდინარის ნაკადის და კალაპოტის ურთიერთქმედების, ნაკადის დინების და ტალღის წყალსაცავის სანაპირო ზოლზე შემოქმედების მარეგულირებელი ნაგებობები, ზღუდარები, დეზები, საგუბრები, ნაკადმიმმართველი სისტემები, ნაპირსამაგრი ნაგებობები, წყალსაცემი ნაგებობები)	10.0	10

32	მილსადენისა და ტურბინის წინა საკეტები	3.33	30
33	ჰიდრავლიკური ტურბინები გენერატორთან და დამხმარე მოწყობილობებთან კომპლექტში (დამხმარე მოწყობილობებში შედის – გაგრილების სისტემები, ფარები, ამწე მექანიზმები, გისოსები, ზეთის მეურნეობა, წყალმომარაგების, სადრენაჟო სისტემები, პნევმატური მეურნეობა)	3.33	30
34	ჰიდრავლიკური ტურბინები	3.33	30
35	გენერატორები	4.0	25
36	რეგულატორები (სიჩქარის, ძაბვის და აღზუნების სისტემები)	4.0	25
	თბოტექნიკური ნაგებობები		
37	ორთქლის ტურბინები გენერატორთან კომპლექტში დამხმარე მოწყობილობებთან ერთად*	4.0	25
38	აირტურბინული დანადგარები პიკურ და ნახევარპიკურ რეჟიმში მუშაობით	4.0	25
39	აირტურბინული დანადგარები ბაზისურ რეჟიმში მუშაობით	3.33	30
40	საქვაზე დანადგარები და სტაციონალური ორთქლის ქვაბები დამხმარე საქვაზე მოწყობილობით**	4.0	25
41	დამხმარე ძალოვანი თბომექანიკური მოწყობილობა (თბომიწოდების მოწყობილობა, ტუმბოები, წლის ქიმიური გაწმენდის მოცულობები და მოწყობილობები, ბოილერული დანადგარები ტუმბოებით და სხვა საერთო სასადგურო ძალოვანი თბოტექნიკური მოწყობილობა)	4.0	25

42	წყლის ქიმიური გაწმენდის ტუმბოები და არმატურები, რომლებიც შეხებაშია აგრესიულ გარემოსთან	5.0	20
43	შხეფსაცივარი	3.33	30
44	დიზელ-გენერატორები	5.0	20
45	კომპრესორები	7.69	13
46	გაზსადენი მილები	2.5	40

	ქსელის კომპონენტები	ცვეთა/ამორტიზაციის წლიური ნორმა (%)	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
47	საჰაერო ხაზები 500 კვ	2.22	45
48	საჰაერო ხაზები 400 კვ	2.22	45
49	საჰაერო ხაზები 330 კვ	2.22	45
50	საჰაერო ხაზები 220 კვ	2.22	45
51	საჰაერო ხაზები 110 კვ	2.22	45
52	საკაბელო ხაზები 110 კვ	2.5	40
53	საჰაერო ხაზები 35 კვ	2.85	35
54	საკაბელო ხაზები 35 კვ	3.33	30

55	საჰაერო ხაზები 6/10 კვ	3.33	30
56	საკაბელო ხაზები 6/10 კვ	3.33	30
57	საჰაერო ხაზები 220/380 ვ	3.33	30
58	საკაბელო ხაზები 220/380 ვ	3.33	30
59	კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები მიწაში	2.85	35
60	კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები ჰაერში	3.33	30
61	ძალოვანი ტრანსფორმატორები	3.33	30
62	ამომრთველები	3.33	30
63	გამთიშველები	3.33	30
64	გამანაწილებელი მოწყობილობები (სალტე)	2.5	40
65	მეხდამცავი მოწყობილობები	4.0	25
66	გადამაბვისგან დამცავი მოწყობილობები	4.0	25
67	მზომი ტრანსფორმატორები	4.0	25
68	საკაბელო არხები/გვირაბები	2.22	45
69	ლითონკონსტრუქციები (საყრდენები, პორტალები, ტრავერსები)	2.22	45

70	კომუნიკაციის, ტელეგაზომვის და დისტანციური მართვის მოწყობილობები	5.0	20
71	რელეური დაცვის მოწყობილობები	5.0	20
72	საკონტროლო და სასიგნალო კაბელები (შენობებში, გვირაბებში, არხებში)	4	25
73	გარდამსახები (გამმართველები, ინვერტორები და ყველა ძაბვის სტაბილიზატორები)	6.67	15
74	რეაქტორები	6.67	15
75	მაღალსიხშირული ფილტრები	5.0	20
76	სინქრონული კომპენსატორები	4.0	25
77	კონდენსატორები	10	10
78	დამამიწებელი მოწყობილობები	5.0	20
79	მრიცხველები (თავსებადი ესკაა-ს და კაასი-ს სისტემებთან)	5.0	20
80	მრიცხველები(დატვირთვის პროფილის გარეშე)	10.0	10
81	გარე და შიგა განათება და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	3.33	30
82	ელ.ძრავები 100 კვტ-მდე	10.0	10
83	ელ.ძრავები 100 კვტ-ზე მეტი	8.33	12

84	სტაციონალური მჟავიანი აკუმულატორები	6.66	15
85	სტაციონალური ტუტიანი აკუმულატორები	12.5	8
86	გადასატანი მჟავიანი აკუმულატორები	33.33	3

*ტურბოაგრეგატების დამხმარე მოწყობილობებში შედის: კონდენსატორი, კონდენსატის ტუმბოები, აირგამაციებლები, ცირკულატორი, მკვებავი ტურბოტუმბოები, დეაერატორები, რედუქციულ-გამაციებელი დანადგარები და ამართქლებლები, ზეთის მეურნეობა, ექექტორები, რეგენერაციული დანადგარები შემთბობებით, ამფონები, აირგამაციებლები, სამეურნეო დარბაზის ფარგლებში არსებული ტურბოგენერატორის ელექტრომოწყობილობა

** საქვაბე დანადგარების შემადგენლობა გულისხმობს როგორც ძირითად, ასევე დამხმარე მოწყობილობებს, კერძოდ:

ა) თვითონ ქვაბები: დოლურა, ორთქლგადამხურებლები, ეკონომიზერი, ჰაერშემთბობი და სხვა;

ბ) გამწოვ-შემბერვი მოწყობილობები;

გ) ნაცარდამჭერი მოწყობილობები;

დ) ჰიდრონაცარგამწმენდი მოწყობილობები (საქვაბის ფარგლებში მოქმედი): შახტის კარკასი, ჩარეცხვის შახტი, სამსხვრეველა, ნაცარდამჭერი აპარატები, ჩამტვირთავი ხოკერი, გარდამავალი მილყელები, ფარსაკეტები, სარქველები, ჩამშვი გარსაცმები, მილგამტარები, ნაცარმომშორებელი აპარატები, ექექტორული წლის ტუმბოები, ჩამრეცხი, ქვიშამოცილებული შანდორები, რკინდამჭერები, აგრეთვე ელექტრომოწყობილობა და კაბელები;

ე) ქვანახშირის მტვრის დამზადების მოწყობილობები და ქვანახშირის მტვრის ტრანსპორტი, წისქვილები, მკვებავები, შნეკები, ლენტური სასწორები, ციკლონები, სეპარატორები, დაუმუშავებელი ნახშირის და ნახშირის მტვრის (შუალდეური) ბუნკერები, მტვერგამტარები და ჰაერგამტარები, მილყელები, გამთიში და მარეგულირებელი სარქველები, დისტანციური ამძრავები;

ვ) საქვაბე მოწყობილობის თბური საკონტროლო - მზომი ხელსაწყოები და ავტომატიკა.